ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 21 ოქტომბერი, 2020 | №220 (8484) | ფასი: 60 თეთრი

## პროკურორი ყაზარაშვილი: „დაცვის მხარემ ულტიმატუმი წამოგვიყენა“


გვ.5

რა ხდება გიორგი შაქარაშვილის საქმის სასამართლოზე

20 ოქტომბრიდან

ანბანი ლექსებით

33 ქართული საბავშვო ლექსი, 260-ზე მეტი სიტყვა და ილუსტრაცია სტიკერებით, გასაფერადებლებითა და ქართული ასოების საწერი ბადეებით




ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

# „ოპოზიციამ ძალიან უნდა მოინდომოს, რომ ეს არჩევნები წააგოს“


გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „კეთილი ინებონ, შეცვალონ კანონი და კენჭისყრა დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე კი არ იყოს, არამედ გააგრძელონ ღამის 12 საათამდე და დაიწყოს არა რვაზე, არამედ ექვსზე“



## „ცესკომ კონსტიტუცია შეცვალა“


გვ.2

გურამ ჩალაგაშვილი: „ოცნებას“ ეპიდსიტუაცია ხელიდან მთლიანად გაექცა“

## „არჩევნების გადადებისას „ოცნებას“ შანსი არ ექნება“

კორნელი კაკაჩია: „ოცნებას“ ცდუნება ექნება, მაგრამ, თუ საზოგადოებამ არ ამოვიღეთ ხმა, დამკვირვებლები დიდ გავლენას ვერ მოახდენენ“


გვ.3

## საპატრულო პოლიცია კოვიდ 19-ის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული რეკომენდაციების აღსრულების მიზნით მონიტორინგს აგრძელებს


გვ.5


გვ.2

## გიგა ბოკერია: „გუბაზ სანიკიძე სააკაშვილს სომეხს ეძახდა, ახლა კი მისი სპიკერია“

## ბიძინა გუჯაბიძე: „ხელისუფლებამ ზომები უნდა მიიღოს, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია არ დაავადდეს“


გვ.4

„თუ დავითგარეჯის საქმეზე შესაბამისი ფაქტები დადგინდება, ხელისუფლება დამნაშავეებს ხელს ვერ დააფარებს“



გვ.5

## „ტყუილად ნუ დაგვირეკავთ!“

შსს-ს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის, 112-ის განცხადება

ISSN 1987-9385

4 ირაკლი ალასანიას დავითგარეჯის საქმეზე პროკურატურაში დაიბარებენ

4 ლევან ხაბეიშვილი: „ჩვენი მთავარი მტერი ის ადამიანია, რომელმაც კრიმინალური მთავრობა დაგვასვა თავზე და ამ ქვეყანას ძარცვავს“

5 ზაზა მურჯიკნელს ნოდარ გუგეშაშვილის მკვლელობისა და დოდო გუგეშაშვილზე თავდასხმისთვის 20 წელი მიესაჯა

6 ილჰამ ალიევი: „ზანგილანი ჩვენია! ყარაბაღი ჩვენია!“

# „ცესკომ კონსტიტუცია შეცვალა“

## გურამ ჩალაგაშვილი: „ოცნებას“ ეპიდსიტუაცია ხელიდან მთლიანად გაექცა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩალაგაშვილი პასუხობს.**



***– ბატონო გურამ, ქვეყანაში ეპიდსიტუაცია უკვე საგანგაშოა, არჩევნებამდე კი სულ რაღაც 10 დღე რჩება. ასე რატომ გაექცათ სიტუაცია?***

– მითი იმის შესახებ, რომ გახარია და ეს ხელისუფლება არის საუკეთესო კრიზისმენეჯერი, უკვე დაიმსხვრა. მათ ჩაკეტეს ქვეყანა, გააჩერეს ბიზნესი მაშინ, როდესაც 10-15 შემთხვევა იყო და ადამიანები გაალატაკეს. ეკონომიკა ბოლომდე გააუბედურეს. ბიზნესი გაჩერებულია და დაავადებულთა რიცხვი 1.000-ს გადაახტა, უკვე მერამდენე დღეა. სამწუხაროდ, იმატა გარდაცვლილი ადამიანების რიცხვმაც.

ხელისუფლებამ ეკონომიკაც დაანგრია, მიწასთან გაასწორა და კოვიდიც უმართავი გახდა. ისე გაექცათ, რომ საერთოდ ველარ აკონტროლებენ. არც საწოლი ადგილების შესაბამისი რაოდენობა აქვთ. ახალციხეში სასწრაფოს ყველა ექიმი კორონავირუსით არის დაავადებული. მარტო კორონა ხომ არ არის, ადამიანები ისეც ხდებიან ავად, ამხელა რეგიონი დარჩენილია სასწრაფოს ექიმის გარეშე.

***– ოპოზიცია ცრუ ინფორმაციას ავრცელებს, საწოლფონდი საკმარისზე მეტი გვაქვსო, აცხადებს ხელისუფლება.***

– სხვა რა გზა აქვთ, აბა, რა უნდა თქვან. უამრავი ადამიანი გამოთქვამს პრეტენზიას, რომ კლინიკებში არსად ადგილი არ არის, რომ 112-ზე არავინ პასუხობთ. იმდენი დაავადებულია და ყურადღების მიმქცევი კაციშვილი არაა.

***– აღარ ჰყოფნით რესურსი?***

– ცხადია, რომ არა. უყურადღებოდ დარჩენილ ადამიანებს კი შემდეგ ძალიან უმძიმდებათ მდგომარეობა. სიტუაცია გაცილებით მძიმეა.

იცით, რამდენი ადამიანი მკურნალობს სახლის პირობებში?! რაც არ უნდა ბევრი ილაპარაკონ, რომ ყველაფერი კონტროლის ქვეშ აქვთ, არაფერიც არ აქვთ. სიტუაცია დიდი ხანია გაექცათ კონტროლიდან. მედიკოსები, რომლებიც თავიდან ბოლომდე არიან ამ საქმეში ჩართული, სიმართლეს ველარ მალავენ და აცხადებენ, რომ სიტუაცია ძალიან მძიმეა.

***– უნდა გადადებულიყო თუ არა არჩევნები?***

– დღეს ამაზე საუბარი ძალიან გვიანია.

***– რამდენად აძლევს შექმნილი ვითარება ხელს „ქართულ ოცნებას“ საარჩევნოდ?***

– ამ ხელისუფლებას დღეს არაფერი აღარ უშველის. ეს გამორიცხულია! ეს ხელისუფლება არის დასრულებული. დაახლოებით 11 დღეში ისინი განაგრძობენ მოღვაწეობას ოპოზიციაში. ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ ქვეყანაში უნდა მოხდეს ცვლილებები. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ერთპიროვნული მმართველობები. ადამიანებს უნდა ეღირსოთ ნორმალური კოალიციური მთავრობა და ხელისუფლება, სადაც ერთი კაცი არ იქნება დირექტორი, რომელიც გასცემს ბრძანებებს.

უსწრაფესი რეფორმებია საჭირო, რომ ქვეყანა ფეხზე დადგეს. ნდობა უნდა დაიბრუნოს ქვეყანამ, რომ შემოვიდეს ინვესტიციები.

***– ელისაშვილმა თქვა, არჩევნები ორ დღეს, პარასკევსა და შაბათს, ჩატარდესო. ეს რამდენად შესაძლებელია?***

– ნორმალურ ქვეყანაში, სადაც საარჩევნო კომისიის მიმართ ნდობა არის მაღალი, ყველაფერი შესაძლებელია. საოლქო კომისიის თავმჯდომარეებს პირდაპირ წინ ედოთ „ქართული ოცნების“ შტაბებიდან გადაცემული სახელები და გვარები, თუ ვინ უნდა აერჩიათ. ამათ როგორ ვენდოთ?! ან ის დადგენილება, რომელიც მიიღო ცესკომ და რომელიც არის სრული მარაზმი და პირადად მე ვაპირებ ამის გაპროტესტებას. აუცილებლად გავივლი კონსულტაციას იურისტებთან და გავასაჩივრებ ამ გადაწყვეტილებას.

***– რომელ დადგენილებას გულისხმობთ?***

– შეიკრიბენ ცესკოში ეს ადამიანები და თქვეს, რომ 26 ოქტომბრამდე ვინც მოასწრებს შესვლას საკარანტინო ზონაში, მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, მაგრამ, ვისაც მოუწევს 27-ში, 28-ში, 29-ში ან 30-ში, ამ ადამიანებს ერთმევათ ის უფლება, რომელსაც კონსტიტუცია ანიჭებს! ცესკომ ჩვეულებრივად შეცვალა კონსტიტუცია! ეს არის სრული მარაზმი და ამის გამო ეს ადამიანები უნდა დაისაჯონ. კონსტიტუციას ცვლის ცესკოს რამდენიმე წევრი, რომლებიც არიან „ქართული ოცნების“ ყურმოჭრილი მონები.

***– 27 ოქტომბრის მერე, თუ კარანტინში მოვხვდი, ხმის მიცემის უფლება მერთმევა?***

– დიახ, ზუსტად ასეა და ვერაფერს ველარ იზამ. ამის უფლებას გართმევენ. კონსტიტუცია შეცვალეს. კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას ართმევენ ადამიანებს.

***– საკარანტინო ზონებსა და კლინიკებში ათასობით ადამიანია მოთავსებული. ისინი რამდენად შეძლებენ მონაწილეობას და მათი ხმები რამდენად იქნება დაცული?***

– საკარანტინო ზონაში, ცხადია, ჩვენ არავინ მოგვცემს შესვლის უფლებას, სრული ეკიპირებით აღჭურვილი პირები შევლენო. ეს კი ნიშნავს იმას, რომ რასაც უნდათ, იმას იზამენ, რა შედეგსაც უნდათ, იმ შედეგს გამოიტანენ.

მინდა, გავაფრთხილო „ოცნება“, რომ თუ ასე მოიქცევიან, ეს იქნება ბოლო წერტილი იმისა, რომ საბოლოო განაჩენი გამოუტანონ ამ ხელისუფლებას. ივანიშვილს ამას არავინ აპატიებს. ქართველები ამტანები არიან, მაგრამ ამდენ ტყუილსა და თვალში ნაცრის შეყრას არავის აპატიებენ.

თუ ჰგონიათ, რომ არჩევნებს გააყალბებენ, ძალიან შემცდარან.

# კახა ოქრიაშვილი: „ოცნებიდან“ ისეთი წინადადება მივიღე, რომელიც გაგდების ტოლფასი იყო და იმიტომ წამოვედი“

**არ ვიცი, „ქართულ ოცნებაში“ როგორ მიცნობენ, იმ დონის რეჟისორი ნამდვილად არ ვარ, რომ ჩემივე ხალხს მანქანა რამდენიმეჯერ შევაჯახო და გზიდან გადავაგდო.**

ასე ეხმაურება გაერთიანებული ოპოზიციის მაჟორიტარობის კანდიდატი კახა ოქრიაშვილი „ქართული ოცნების“ წევრების განცხადებას, რომლის თანახმადაც, ბოლნისი-მარნეულის გზაზე ოქრიაშვილის აქტივისტის მანქანის მისამართით სროლა, შესაძლოა, ისევ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – ძალა ერთობაშიას“ მიერ დაგეგმილი პროვოკაცია იყოს.

როგორც კახა ოქრიაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „რეზიუმეში“ განაცხადა, მანქანას ნატყვიარი ეტყობა.

– კიდევ კარგი, რომ მაგ დროს არ ამოყირავდა მანქანა. ჩვენი მანქანის დევნა შემდეგ ორმა მანქანამ განაგრძო, თან ესროდნენ. ნატყვიარი მანქანას ეტყობა, გამჭოლი ნატყვიარია. ეს არ არის პირველი ფაქტი. პირველი ფაქტი დმანისში მოხდა, რის შემდეგაც დაახლოებით თვენახევარი გავიდა. შემთხვევა კამერებმა დააფიქსირა, დაახლოებით ათმა კაცმა ჩვენი შტაბის წევრი გაიყვანა და კამერების წინ დაჟეჟეს. ყველა იდენტიფიცირებულია და ამ შემთხვევასთან მიმართებითაც თქვეს, რომ ეს ჩვენ თვითონ ჩავიდინეთ, – განაცხადა ოქრიაშვილმა.

მისი თქმით, წინასაარჩევნოდ მშვიდი ვითარება სხვა რეგიონებშიც არ არის.

– ვიცი, რომ ცეზარ ჩოჩელთან, ასევე ზუგდიდში, ბათუმში ტოტალური წნეხია სამიზნე ჯგუფების მიმართ. პირველი წნეხი ხორციელდება სოციალური ჯგუფის ადამიანებზე. მთელი დღე სიებით დადიან და მათ ეუბნებიან, რომ შემწეობას დაკარგავენ. მასწავლებლებსა და სკოლის დირექტორებზეც სერიოზული წნეხია.

აშინებენ მერიებსა და სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ ადამიანებს, რომ სამსახურიდან გააგდებენ. მათ აიძულებენ, რომ საკუთარი არჩევანი გააკეთონ არა ფარულად, არამედ ღიად, რაც დასჯადია. ამიტომ, ყველას მივმართავ, ვინც ჩვენს მოსახლეობას აშინებს და დანაშაულს ჩადიან, დაშინება 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება, – განაცხადა ოქრიაშვილმა.

მისი განცხადებით, „ქართული ოცნებისგან“ არა მაჟორიტარობის, არამედ პარტიულ სიაში ყოფნის შეთავაზება მიიღო, რაც მისთვის „გაგდებისა და თავისუფლების დაკარგვის ტოლფასი იყო“.



– „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარული წესით კენჭისყრა არ შემომთავაზა, სიაში ადგილზე იყო საუბარი, რაზეც უარი განვაცხადე, ისეთი წინადადება მივიღე, რომელიც გაგდების ტოლფასი იყო. „ოცნებიდან“ მე არ წავსულვარ. მქონდა განცხადებებიც, რომ თუ შემომთავაზებდა „ქართული ოცნება“ მაჟორიტარად კენჭისყრას, მივიღებდი ამ წინადადებას. მათ ეს არ შემომთავაზეს, შემომთავაზეს სია, ეს იყო თავისუფლების დაკარგვის ტოლფასი. მე თავისუფლებას არ დავკარგავდი, ამიტომ უარი ვთქვი, – განაცხადა ოქრიაშვილმა.

ამასთან, როგორც ის აღნიშნავს, „ქართულ ოცნებასთან“ ბევრი პრინციპული წინააღმდეგობა ჰქონდა.

– პირველი ეს იყო საფინანსო სექტორისა და ბიზნესის ურთიერთობა და საფინანსო სექტორისა და ჩვენი მოსახლეობის ურთიერთობა. ეს თემები წამოვჭერით 2013 წელს, მინდა გითხრათ, რომ მარტო არ ვიყავი. ამ თემებზე როდესაც ვმუშაობდით, დავით ჭიჭინაძე იყო და კიდევ რამდენიმე დეპუტატი. გვითხრეს, ამ საკითხს მოვაგვარებთ, მაგრამ მოგვატყუეს.

იყო ასევე გაზპრომთან მოლაპარაკებების გასაიდუმლოება, რაც მე არ მომწონდა, იმიტომ, რომ ეს ავტოგოლის ტოლფასი იყო, როდესაც მიდიხარ მოლაპარაკებებზე, შენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ აკეთებ სისულელეს და მერე ამას ასაიდუმლოებ. შემდეგ იყოს საყდრისის აფეთქებასთან დაკავშირებით, მე ერთადერთი ვიყავი, ვინც მხარი დავუჭირე საპარლამენტო კომისიის შექმნას. ასევე მოსამართლეების საკითხზე – ხმა არ მივეცი თადუმაძეს. დღესაც ვარ დარწმუნებული, რომ მისი იურიდიული განათლება ვალიდური არაა. იყო ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების საკითხი. წინააღმდეგი ვიყავი დაფინანსების გაზრდის, – განაცხადა ოქრიაშვილმა.

რაც შეეხება ოპოზიციასთან მის თანამშრომლობას, კახა ოქრიაშვილი ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობა მასთან თავად მივიდა.

– ნაციონალურ მოძრაობასთან მე არ მივსულვარ, ისინი მოვიდნენ იმიტომ, რომ იცოდნენ, მე რომ მეყარა კენჭი დამოუკიდებლად ან სხვა პარტიით, მაინც გავიმარჯვებდი. 2008-შიც და 2012-შიც მე მივიღე მონაწილეობა ნაციონალური მოძრაობის სახელით, მაგრამ ციხის კადრები იყო ჩემთვის ბოლო წვეთი, რამაც გადამაწყვეტინა, რომ გავმიჯნულიყავი. ორი კვირით ადრე იყო არჩევნებამდე. დავდიოდი ამომრჩევლებში და ვიხდიდი ბოდიშებს. ბოდიშებით მოვიარე მთელი მუნიციპალიტეტი. რადგან ვიყავი უპარტიო, დასაძრახია, რომ ვიყო მოკავშირე ჯერ ერთი პარტიის შემდეგ მეორე პარტიის და პოლიტიკოსი თუ არის პარტიული, მას შეუძლია თავის პარტიასთან ერთად იყოს მოკავშირე ოცი პარტიის სხვადასხვა პერიოდში? რა ლოგიკაა, მაინცდამაინც ფურცელი უნდა მეჭიროს პარტიული მანდატის, მაშინ პოლიტიკური პოზიცია გაქვს და როდესაც კაცი უპარტიო ხარ, პოლიტიკური პოზიცია არ შეიძლება გქონდეს? გინდათ თქვათ, რომ ერთი პარტიიდან მეორეში დავრბოდი და მე კიდევ გეუბნებით, რომ ყოველთვის უპარტიო ვიყავი, – განაცხადა ოქრიაშვილმა.

გარდა ამისა, კახა ოქრიაშვილის შეფასებით, ის საქართველოში „ყველაზე მაგარი მაჟორიტარია“.

– არანაირი მოტივაცია არ მაქვს, გარდა იმისა, რომ ვიყო ძალიან კარგი პარლამენტარი და მაჟორიტარი და ვთვლი, რომ მე ვარ ყველაზე მაგარი მაჟორიტარი საქართველოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, 4-ჯერ ერთი და იგივე მუნიციპალიტეტი არ ამირჩევდა რეკორდული მაჩვენებლით. ყოველთვის პირველ ან მეორე ადგილს ვიკავებ პროცენტული მაჩვენებლით და ახლაც ასე იქნება, – განაცხადა ოქრიაშვილმა.

# გიგა ბოკერია: „გუბაზ სანიკიძე სააკაშვილს სომეხს ეძახდა, ახლა კი მისი სპიკერია“





– გუბაზ სანიკიძე, რომელიც სამარცხვინოდ ეთნიკურ შუღლს აღვივებდა, მიხეილ სააკაშვილს სომეხს ეძახდა და ჩვენი ქვეყნის მტრულ პროპაგანდას ეწეოდა, ეს კაცი და თავისი გზავნილები არის სიმპტომი იმისა, თუ როგორ დაემსგავსა სააკაშვილი და მისი გარემოცვა ივანიშვილის ხედვას.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ განაცხადა, რითაც გამოეხმაურა გუბაზ სანიკიძის განცხადებას, რომლის თანახმადაც, „მცხეთის იქით ხალხმა ბიძინასა და მიშას მეტი არავინ იცის“.

როგორც ბოკერიამ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა, პროპაგანდა, რომ ან სააკაშვილი იქნება, ან ივანიშვილი, არის მცდარი.

– „ევროპული საქართველოს“ ხედვა არის ცვლილებებზე. ეს არის ცვლილება არა მარტო ივანიშვილის, რაც აუცილებელი პირობაა, ამავე დროს, არდაშვება ისეთი ადამიანის პრემიერობის, გუბაზ სანიკიძეს რომ მიიღებს სპიკერად. ეს პროპაგანდა, რომ ივანიშვილის ალტერნატივა არის მხოლოდ სააკაშვილი და, თუ ივანიშვილი არ იქნება, სააკაშვილი იქნება, აწყობს ივანიშვილსაც და აბსოლუტურად ბრიყვულად აწყობს სააკაშვილის გარემოცვასაც. პროპაგანდა – თუ ჩვენ არ ვიქნებით ძალაუფლებაში ისე, როგორც 2012 წლამდე ნაციონალური მოძრაობა იყო ჩემი ჩათვლით, რომ ყველა შტოს ვაკონტროლებდით, რამაც სერიოზული პრობლემები მოგვიტანა, არის სიცრუე. ქართველ ხალხს სურს არა დღევანდელი ჭაობის შენარჩუნება, რაც ივანიშვილს უნდა, არა წარსულში დაბრუნება, რაც სააკაშვილს უნდა, ოღონდ გუბაზით, რომელიც მას ღალატსა და ეთნიკური შუღლის გაღვივებით სომხობაში ადანაშაულებდა. სამარცხვინოა დღეს ასეთი კაცის სახედ მიღება, – განაცხადა ბოკერიამ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კორნელი კაკაჩია: „არჩევნების გადადებისას „ოცნებას“ შანსი არ ექნება“

## „ოცნებას“ ცდუნება ექნება, მაგრამ, თუ საზოგადოებამ არ ამოვიღეთ ხმა, დამკვირვებლები დიდ გავლენას ვერ მოახდენენ“

იაგო ნაცვლიშვილი

**საბოლოოდ გახდა ცნობილი, რომ ევროკავშირი საქართველოში საპარლამენტო არჩევნებისთვის სადამკვირვებლო მისიას არ გამოაგზავნის. ეს გადაწყვეტილება საქართველოში ბევრ საკითხს თავდაყირა აყენებს და ჩნდება ეჭვი, ეს ხომ არ გახდება „ქართული ოცნებისთვის“ მაპროვოცირებელი, რომ ხელი გაყალბებაზე წაუცდეს.**

რა გავლენას მოახდენს ეს გადაწყვეტილება, იქნებიან თუ არა საერთაშორისო დამკვირვებლები უფრო მკაცრნი, ვიდრე წინა არჩევნების დროს იყო, რა სურათი იკვეთება კორონას გამო და ხომ არ გამოიყენებს ხელისუფლება ამ ვითარებას თავის სასარგებლოდ? – ამ და სხვა კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი **კორნელი კაკაჩია** საუბრობს.

***– საბოლოოდ გახდა ცნობილი, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში ვერ ჩამოვა და საპარლამენტო არჩევნებს ადგილიდან ვერ დააკვირდება. ხელისუფლება მეტად თავისუფლად ხომ არ იგრძნობს თავს და ხელი ხომ არ წაუცდება რაღაცებზე?***

– ზოგადად, რაც მეტი საერთაშორისო დამკვირვებელია საქართველოში, მით უფრო რთულდება მმართველი პარტიისთვის არჩევნების გაყალბება და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება. ეს გვაჩვენა გამოცდილებამ. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოში ჩასატარებელი არჩევნები არცთუ ისე მნიშვნელოვანი რომ გახდა, ნათელია.

იქ ამერიკაში ტარდება არჩევნები და ზოგადად იმდენი რამე ხდება ჩვენს რეგიონში, რომ იმას არ ექცევა ყურადღება. ვხედავთ, რომ ომია ჩვენს რეგიონში და სათანადო ყურადღების მიღმაა. აქედან გამომდინარე, საქართველოს არჩევნები არცთუ მნიშვნელოვნად ჩაითვალა. ამას ემატება კოვიდის სიტუაცია და გასაგებია, რომ ხელისუფლებას გარკვეული ცდუნება ყოველთვის ექნება, განსაკუთრებით რეგიონებში, იქ, სადაც ყველაზე მეტად უჭირს, იმ ოლქებში, სადაც ოპოზიციას გარკვეული შანსი აქვს.

ჩვენ ვხედავთ, რომ რეგიონებში, სამწუხაროდ, უკვე დაწყებულია ეს პროცესი, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი საჯარო მოხელე უკვე მონაწილეობს კიდეც წინასაარჩევნო აგიტაციაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს აკრძალულია კანონით. რაც უფრო ნაკლები საერთაშორისო დამკვირვებელი იქნება, ბუნებრივია, ასეთი ფაქტები უფრო და უფრო გახშირდება.

***– რეგიონებში არსებული კანონდარღვევები ახსენეთ. ეს, ალბათ, მოხვდება საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში. ამაზე არ ფიქრობს ხელისუფლება?***

– კი, მოხვდება, მაგრამ საბოლოოდ მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთი ფაქტები ადრეც მომხდარა, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია შეფასება – რამდენად სამართლიანად ჩატარდა არჩევნები. აქ მთავარი სიტყვა უნდა თქვას ქართველმა საზოგადოებამ. როგორ მოეჩვენება მას ეს, ჩატარდა სამართლიანად თუ არა, იყო თუ არა კონკურენტული გარემო. თუ ჩვენ, ქართველმა საზოგადოებამ, ხმა არ ამოვიღეთ, ბუნებრივია, დამკვირვებელი დიდ გავლენას ვერ მოახდენს. ისინი, რა თქმა უნდა, ანგარიშში აღნიშნავენ ერთეულ თუ ათეულ შემთხვევებს, მაგრამ მთავარია საზოგადოების რეაქცია, იმიტომ, რომ ვერც ერთი დამკვირვებელი და ვერც ერთი ანგარიში ვერ შექმნის საზოგადოების განწყობას. ეს თითოეულმა ამომრჩეველმა უნდა გადაწყვიტოს და აიღოს ეს პასუხისმგებლობა საკუთარ ხელში.

***– რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ, თუ არჩევნების გაყალბება დაინახა, პროტესტი უნდა გამოთქვას და ქუჩაში გამოვიდეს?***

– აქ საუბარია მოქალაქეობრივ პასუხის-



მგებლობაზე. როდესაც ვხედავთ, რომ საჯარო მოხელეები, იქნებიან თუ არა ჩვენი ახლობლები და ისინი მოდიან ჩვენს სახლებში, ეწევიან აგიტაციას და ვიცით, რომ ისინი საჯარო მოხელეები არიან და ვიცით, რომ კანონს არღვევენ, მაშინ ჩვენ შეგვიძლია, ამაზე გამოვთქვათ პროტესტი, დავურეკოთ ვიღაცას და ა.შ. ამას სხვადასხვა მიზეზის გამო არ ვაკეთებთ და, ბუნებრივია, ჩვენ მაგივრად უცხოელი დამკვირვებლები ვერ გადაწყვეტენ ჩვენს პრობლემებს. არის შემთხვევები, როდესაც ამაზე ჩვენ თვითონ ვხუჭავთ თვალს სხვადასხვა მიზეზის გამო.

***– პოლიტიკოსები მუდმივად საუბრობენ იმაზე, რომ აშშ და ევროკავშირი ამ არჩევნებზე აღარ დახუჭავენ თვალს ისეთ გადაცდომებთან დაკავშირებით, რაც იყო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე. აქვს თუ არა ამ ვერსიას რეალური საფუძველი?***

– წინასწარ ვერავინ იტყვის, იმიტომ, რომ ყველა ქვეყანასა და ყველა საერთაშორისო აქტორს თავისი პრობლემები აქვს, რომლებიც კიდევ უფრო დამძიმებულია ამ პანდემიით. აქედან გამომდინარე, ზოგადად საქართველოს მიმართ ინტერესი ისეთი აღარ არის, როგორიც იყო წინა წლებში. ბუნებრივია, ისინი ორგანიზაციებს ინარჩუნებენ, მაგრამ თუნდაც ყარაბაღის მოვლენებმა გვაჩვენა, რომ ომი მიმდინარეობს და ვხედავთ, რა რეაქციაც აქვთ ძირითად მოთამაშეებს. არავინ ჩაერია, იმიტომ, რომ ამისთვის არავის „სცხელა“, არჩევნებისთვის – მით უმეტეს.

ბუნებრივია, არის რამდენიმე ქვეყანა, უპირველეს ყოვლისა კი აშშ, რომლებსაც აქვთ გარკვეული ინტერესი საქართველოში და ისინი დააკვირდებიან საარჩევნო პროცესს, მაგრამ სხვა ქვეყნებში მთლად ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ, თუმცა გარკვეული ინტერესი, ბუნებრივია, იქნება, მაგრამ, როდესაც აქ არ ჰყავთ დამკვირვებლები, ამის გაკეთება რთული იქნება.

***– დისტანციურად დაკვირვება რთული პროცესია?***

– დიახ, რა თქმა უნდა.

***– ხედავთ თუ არა, რომ ხელისუფლება უკვე იყენებს კოვიდსიტუაციას თავის სასარგებლოდ და ხომ არ უნდა ველოდოთ იმასაც, რომ თუ გაყალბება იქნება, ამასაც გამოიყენებს? მაგალითად, შემოიღოს საგანგებო მდგომარეობა და აკრძალოს აქციები. ამ შემთხვევაში რა ბერკეტი გვაქვს საზოგადოებას?***

– წინასწარ ამაზე საუბარი რთულია, მაგრამ ჯერ კაციშვილმა არ იცის, რა მოხდება. იმდენად სწრაფად იცვლება ეპიდემიოლოგიური ვითარება, რომ პრაქტიკულად ყოველდღე აკლდება მმართველ ძალას რეიტინგი საზოგადოებას თვალში, რაც გამოიხატება იმით, რომ ხალხი ხედავს, ამ ვითარებას ხელისუფლება თავს ვერ ართმევს. თუ აქამდე იყო ასე, რომ თურმე საუკეთესო მენეჯმენტი ჰყოლია ხელისუფლებას, ბოლო პროცესებმა აჩვენა, რომ ასე არ არის და საზოგადოება ძალიან კრიტიკულად უყურებს ამ პროცესს.

ყველაზე მთავარია, ეს არჩევნები რომ ჩატარებულიყო თუნდაც 3 კვირის შემდეგ, კაციშვილმა არ იცის, რა შედეგი დადგებოდა. ეს ხელისუფლებამ თავადაც იცის და მაქსიმალურად ცდილობენ, როგორმე, ნებისმიერ ფასად ჩატარდეს ეს არჩევნები. ამისთვის იყენებენ როგორც პროსამთავრობო მედიასა და ექსპერტებს, რომლებიც დღე და ღამე ტელე თუ რადიო ეთერში არიან, უთო რომ ჩართო, ლამის იქაც კი ეგენი იყვნენ, რომ რაღაცნაირად მოახდინოს საზოგადოებაზე გავლენა, იქიდან გამომდინარე, რომ შედეგები როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე ეპიდემიოლოგიური ვითარების თვალსაზრისით ძალიან მძიმეა.

ახლა „ქართული ოცნებისთვის“ მთავარია, ეს არჩევნები შედგეს და რაღაცნაირად ლეგიტიმაცია მიიღონ, იმიტომ, რომ მშვენივრად იციან, არჩევნების გადადების შემთხვევაში „ქართული ოცნება“ დამარცხებისთვის წინასწარ არის განწირული. გაზაფხულზე ან თუნდაც რამდენიმე თვის შემდეგ რომ ჩატარდეს არჩევნები, მათ არანაირი შანსი აღარ ექნებათ წარმატების მოპოვების თვალსაზრისით.

***– არჩევნები ტარდება. რა სურათს ელოდებით თქვენ, მოიპოვებს „ოცნება“ უმრავლესობას დამოუკიდებლად?***

– წინასწარ რთულია ამის თქმა, იქიდან გამომდინარე, რომ საბოლოოდ არ ვიცით, როგორი იქნება მდგომარეობა. თუ ეპიდემიოლოგიური სიტუაცია კიდევ დამძიმდა, რაც გამორიცხული არ არის, მაშინ... არ ვიცი, ძალიან სწრაფად იცვლება ვითარება და რთულია ამაზე საუბარი. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ განვითარდება მოვლენები არჩევნების წინ, ბოლო დღეებში და როგორი განწყობა ექნება ამომრჩეველს, განსაკუთრებით კი იმ ამომრჩეველს, რომელსაც ჯერ არ აქვს მიღებული გადაწყვეტილება, ვის უნდა მისცეს ხმა.

***– ანუ ვითარება ჯერ არაპროგნოზირებადია?***

– დიახ, ასეა.

## რესტორნები ღამის 22:00 საათიდან მცხეთაშიც იკეტება

იმ ფონზე, როდესაც ინფიცირებულების ყოველდღიური მატება საგანგაშოა, ხელისუფლებას იმის განმარტება უწევს, რატომ არ უნდა წავიდნენ მცხეთაში საქეიფოდ ადამიანები თბილისში დაკეტილი რესტორნების შემდეგ.

რესტორნები ღამის 22:00 საათიდან მცხეთაშიც იკეტება. დღის წესრიგში დგას ზომების გამკაცრება პირბადის ტარების წესის დარღვევაზეც.

ასეთი ჯარიმები უკვე მოქმედებს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში. მაგალითად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პირბადის გარეშე მოძრაობა გერმანიაში, ფედერალური უწყების მიხედვით, 500 ევრომდე ჯარიმდება, ბრიტანეთი – 100 ფუნტი, საფრანგეთი – 150 ევრო, ესპანეთის პოლიცია ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე 100 ევროთი აჯარიმებს ნებისმიერს, ვინც არ ატარებს პირბადეს, იტალიაში ეს თანხა კიდევ უფრო დიდია, ხოლო არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში 800 დოლარს აღწევს.

შეზღუდვების გარდა, მთავრობის წევრები ეპიდემიოლოგებთან ერთად გარკვეული სფეროების გახსნის გეგმებზე საუბრობენ. ერთ-ერთი ასეთი მიმართულება საჰაერო მიმოსვლაა. ეკონომიკის მინისტრმა ევროპის რამდენიმე ქვეყნის მიმართულებით რეგულარული ფრენების აღდგენა დააანონსა.

დროებითი შეზღუდვის დაწესება იგეგმება სკოლებში, სადაც მომავალ კვირაში მოსწავლეებს 3 დღით დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადაიყვანენ.

# „ოპოზიციამ ძალიან უნდა მოინდომოს, რომ ეს არჩევნები წააგოს“

## ლევან ალაფიშვილი: „კეთილი ინებონ, შეცვალონ კანონი და კენჭისყრა დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე კი არ იყოს, არამედ გააგრძელონ ღამის 12 საათამდე და დაიწყოს არა რვაზე, არამედ ექვსზე“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო ლევან, ევროპარლამენტის გადაწყვეტილებით, პანდემიიდან გამომდინარე, არჩევნებზე მათი სადამკვირვებლო მისია არ იქნება წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ბევრი საერთაშორისო მისია თავს შეიკავებს. როგორ აისახება ეს ყველაფერი?***

– არაორდინარულ გარემოში გვიწევს ცხოვრება. შესაბამისად, არჩევნების ჩატარებაც, და არა მხოლოდ ჩვენ. ეს მოცემულობა თავისთავად გამოწვევაა დემოკრატიისთვისაც. საერთაშორისო დამკვირვებლების ფიზიკურად აქ არყოფნა დამშვიდების საფუძველს არავის აძლევს, მათ შორის არც მათ, ვინც რაიმეს გეგმავს. ჩვენს დასავლელ პარტნიორებს საქართველოში ჰყავთ ძალიან ძლიერი, გამოცდილი პროფესიონალი მოკავშირეები ქართველი საზოგადოების, სამოქალაქო სექტორის სახით. ამდენად, შეიძლება, მათი აქ არყოფნა ხელისუფლებისთვის უფრო უარესიც კი იყოს, რადგან ისინი სრულად დაეყრდნობიან იმ პირველად მონაცემებს, რომლებიც აქედან გაიგზავნება. საერთაშორისო მისიები ისედაც დიდწილად საკუთარ დასკვნას აბალანსებდნენ ადგილობრივი დამკვირვებლებისა და მათი დამკვირვებლების მიერ მოპოვებული ინფორმაციის შეჯერებით.

***– ანუ ხელისუფლებას ხელს არ აძლევს?***

– არა და ვერც მისცემს. ადგილობრივი მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, მოსახლეობა და ოპოზიციაც თუ ერთ მხარეს აღმოჩნდება, შეუძლებელია, ეს დაიმალოს. ვერავინ დამალავს.

შეიძლება, ეს ახალი რეალობაც კი იყოს. ისე, როგორც არასდროს, ახლა არჩევნები საქართველოს მოქალაქეებზე, მათ აქტივობასა და შეფასებაზე იქნება დამოკიდებული. დასავლეთი იმოქმედებს საქართველოს მოქალაქის კვალდაკვალ. ამდენად, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ეს გადაწყვეტილება, პირიქით, ხელისუფლებისთვის შეიძლება ძალიან დიდი გამოწვევაც კი იყოს.

***– ამომრჩევლის აქტივობას რამდენად შეუშლის ხელს ეპიდემიის მეორე ტალღა? იქნება თუ არა ეს არჩევნები ძალიან დაბალი აქტივობით გამორჩეული?***

– ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, დრო დაკარგა. მათ ზაფხული გამოიყენეს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიისათვის და არა მმართველობის მეტი ეფექტიანობისთვის. ეს არის სამწუხარო მოცემულობა, რომელიც გვაქვს, მაგრამ ამას არ უნდა შეეწიროს ჩვენი დემოკრატია და სახელმწიფოებრიობა. ეს პანიკური რეალობა ხელისუფლების მეცადინეობით არ შეიქმნებოდა, თუ უფრო მობილიზებული იქნებოდნენ. ხომ ხედავდნენ, რომ ადამიანებს ტრანსპორტში პირბადე ნიკაპზე ეკეთათ და არა იქ, სადაც საჭირო იყო?! რატომ არ იყო შესაბამისი რეაქციები?! სხვა ახსნა არ აქვს, თუ არა ის, რომ უნდა მივსულიყავით იმ რეალობამდე, რომელიც დღეს გვაქვს. ეს რეალობა კი პანიკაა. ხალხი სრულ პანიკაშია. ეს კი ემსახურება არა ხალხის აქტივობის გაზრდას, არამედ, პირიქით, ვიღაცები არ უნდა მივიდნენ არჩევნებზე. მიდგომაა: დარჩი სახლში, მაგრამ არჩევნების დღეს! ამ ყველაფრის ფონზე ძალიან უნდა მოინდომოს ოპოზიციამ, რომ ეს არჩევნები წააგოს. „ქართულმა ოცნებამ“ კი არ მოიგოს, ოპოზიციამ წააგოს. ამომრჩეველი პოლიტიკურად ძალიან გაზრდილია.

***– ამომრჩეველი მივა არჩევნებზე?***

– მე მაინც მგონია, რომ რა მცდელობაც არ უნდა ჰქონდეთ, ხალხი მაინც მივა არჩევნებზე. სტრატეგიულად მათ უკვე წააგეს, ამისთვის თუნდაც აღდგომის ღამის ლიტურგიაა საკმარისი. ხალხის მისვლა-არმისვლის საკითხი, გახსოვთ, როგორ იდგა.

***– არჩევნების გადადებაზე რას იტყვით?***

– ამის საჭიროება აბსოლუტურად არ არის. კეთილი ინებონ, ჯერ კიდევ შეუძლიათ, კანონიც და რეგლამენტიც აძლევთ მათ ამის საშუალებას, რომ მოიწვიონ პარლამენტის საგანგებო სხდომა და განიხილონ საარჩევნო კოდექსში ცვლილება, რომლითაც შეიძლება კენჭისყრის დღის გახანგრძლივება. დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე კი არ იყოს კენჭისყრა, არამედ გააგრძელონ, მაგალითად, ღამის 12 საათამდე და დაიწყოს არა რვაზე, არამედ ექვსზე. ეს არ გამოიწვევს საარჩევნო უბნებთან ადამიანების რიგებს და თავიდან აგვაცილებს ეპიდემიურ საფრთხესაც. ამ შემთხვევაში არ დაირღვევა არც კონსტიტუცია და ადამიანებიც უფრო დაცული იქნებიან ხმის მიცემის რიგებში დგომისგან.

***– კონსტიტუცია უშვებს ამ შესაძლებლობას?***

– დიახ, უშვებს. კონსტიტუციაში წერია, რომ არჩევნების ანუ კენჭისყრის დღე არის ოქტომბრის ბოლო შაბათი ანუ 24 საათი, ხმის დათვლის პროცედურა კი მეორე დღიდან დაიწყოს, ამაში არანაირი პრობლემა არ არის. რაც მთავარია, ამომრჩევლის ნება გამოვლენილი იქნება 31 ოქტომბერს ბოლო შაბათ დღეს, როგორც კონსტიტუციაში წერია. ამდენად, გამოსავალი არსებობს.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში კი პოლიტიკურ ჩიხს მივიღებთ, რადგან საგანგებო მდგომარეობის პირობებში არჩევნები ქვეყანაში არ ტარდება. არჩევნების გადადების შემთხვევაში, არსებული პარლამენტი ორი თვით რჩება. ორი თვის თავზე, სავარაუდოდ, პანდემია უფრო მძლავრი იქნება, არალეგიტიმური პარლამენტისთვის ვადის გახანგრძლივება კი პირდაპირ ავტორიტარიზმისკენ გვიბიძგებს.

# ბიძინა გუჯაბიძე: „ხელისუფლებამ ზომები უნდა მიიღოს, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია არ დაავადდეს“

## „თუ დავითგარეჯის საქმეზე შესაბამისი ფაქტები დადგინდება, ხელისუფლება დამნაშავეებს ხელს ვერ დააფარებს“

მარიამ მჭედლიშვილი

**არჩევნებამდე 10 დღით ადრე ქვეყანაში შექმნილ რთულ ვითარებაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ბიძინა გუჯაბიძეს.**



***– თქვენი აზრით, იმოქმედებს თუ არა შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაცია წინასაარჩევნო გარემოსა და არჩევნების ჩატარებაზე?***

– გვინდა თუ არა, კოვიდ 19-ის გარეშემო არსებული სიტუაცია იქონიებს გავლენას წინასაარჩევნო გარემოზე. ალბათ, იმოქმედებს არჩევნების ჩატარებაზეც.

***– მოსახლეობის ნაწილში ისედაც პანიკაა. ამასთან, ვრცელდება ხმები, რომ დაინტერესებული პირები დადიან და ხელოვნურად ავრცელებენ კორონავირუსს საცხოვრებელი ბინებისა და სახლების კარებთან. ასეთი რამ უფრო აღვივებს ისტერიას?***

– თუ ასეთი ინფორმაცია ვრცელდება, ეს ცუდია. მე ეს უფრო ადრინდელის გამოძახილი მგონია. რამდენიმე თვის წინ ინტერნეტში იყო კადრები ჩინეთში ვირუსის ხელოვნურად გავრცელებაზე. არა მგონია, ასეთი რამ ახლა საქართველოში ხდებოდეს. თუ ვინმე მავნებლობს, ამის დაფიქსირება შეიძლება. არსებობს სათვალთვალო კამერები, ასევე არსებობს ტელეფონებით კადრების აღბეჭდვის შესაძლებლობა.

***– ხელისუფლება აცხადებს, რომ საარჩევნო უბნებზე მიღებული იქნება ზომები იმისათვის, რომ იქ მყოფები არ დაინფიცირდნენ. ხალხი მაინც დაშინებულია.***

– დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნების დღეს ყველა ზომა იქნება მიღებული და ეს ეფექტური ზომებია. ხელისუფლებამ ახლავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საარჩევნო ადმინისტრაციას. ვგულისხმობ ყველა დონის საარჩევნო კომისიების წევრებს. ისინი თუ დაავადდნენ, არჩევნებს ვინ ჩაატარებს?!

***– წინასაარჩევნო შეკრებები გრძელდება, პოლიტიკოსები კი ერთმანეთს ადანაშაულებენ მავნებლობაში.***

– ნაცმოძრაობამ შეიძლება სხვებს ბევრი რამ გადააბრალოს, მაგრამ ის, რაც ბათუმში მოხდა, მისი ბრალია. იქ იყო ბევრი დარღვევა, შეიქმნა ბევრი ადამიანის დაინფიცირების რისკი. ეს აშკარაა. ხელისუფლება ვერ ბედავს, დამრღვევებს სანქციები წაუყენოს. ლაპარაკია ადმინისტრაციულ სასჯელზე და არა პოლიტიკოსების დაკავებაზე. დემოკრატიულ, ცივილიზებულ სახელმწიფოში ამას ექნებოდა რეაგირება და დამრღვევებს ადმინისტრაციულ სახდელს დააკისრებდნენ.

***– ხელისუფლებას გაუბედაობას ედავება საზოგადოების ნაწილი. საქმე ეხება დავითგარეჯს. ხალხი დარწმუნებულია, რომ კარტოგრაფები, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ, თვითონ ვერ მიიღებდნენ გადაწყვეტილებებს.***

– კარტოგრაფები საბოლოო გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ, მაგრამ მათი ბრალიც იკვეთება. ჩემი აზრით, მათ მოამზადეს ნიადაგი იმისთვის, რომ დავითგარეჯის ნაწილი სხვა სახელმწიფოს მიჰკუთვნებოდა. გადაწყვეტილებებს იღებენ მაღალი რანგის მოხელეები, მაგრამ ნიადაგი მომზადდა ქვედა რგოლში. მოსაძებნია ამ ორი ჯგუფის ერთმანეთთან დამაკავშირებელი რგოლი. სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების თანამდებობის პირების განწყობა ჩვენ ვიცით. მათი განცხადებებიდან ჩანს, რომ ისინი დავითგარეჯს საქართველოს ტერიტორიად არ მიიჩნევენ.

***– გაბედავს ხელისუფლება სიმართლის დამტკიცებას?***

– თუ გამოძიებისას დავითგარეჯის საქმეზე შესაბამისი ფაქტები დამტკიცდება, ხელისუფლება დამნაშავეებს ხელს ვერ დააფარებს. გაბედულება აქ არაფერ შუაშია. თუ დანაშაული დამტკიცდება, ამის მიჩუმათება არ გამოვა. მაშინ ხელისუფლება გამოვა დანაშაულის ხელის დამფარებელი. რომელი მუხლი უნდა მიუყენონ დამნაშავეებს, ამას გამოძიება და სასამართლო განსაზღვრავენ.

***– იმოქმედებს დავითგარეჯის თემა არჩევნების შედეგზე?***

– ჩემი აზრით, იმოქმედებს იმ ამომრჩეველზე, რომელიც ორჭოფობს, თორემ, მყარი პოზიციის მქონე ელექტორატზე ამას გავლენა არ ექნება. ასეთი მყარი ელექტორატი სახელისუფლებო პარტიასაც ჰყავს და ოპოზიციასაც. რამდენი პროცენტით შეცვლის ეს თემა შედეგს, ამის პროგნოზირებას ვერავინ შეძლებს.

# ირაკლი ალასანიას დავითგარეჯის საქმეზე პროკურატურაში დაიბარებენ

დავითგარეჯის საქმეზე პროკურატურაში დაკითხვები გრძელდება. სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში ჩვენების მისაცემად თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ალასანიასაც დაიბარებენ.

ალასანიას გვარი ფიგურირებს „პრაიმტაიმის“ მიერ მოპოვებულ ჩვენებაში, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 2014 წელს თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე მყოფმა ირაკლი ალასანიამ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დასადგენად მასალების მოძიების განკარგულება გასცა.

გეოგრაფი და გეოლოგი ვლადიმერ მირიანაშვილი პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში იხსენებს მის ურთიერთობას დელიმიტაციისა და დემარკაციის კომისიასთან, რომლის ყოფილი ხელმძღვანელი ივერი მელაშვილი და ასევე კომისიის წევრი ნატალია ილიჩევა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. მათ ბრალად უცხო ქვეყნისთვის საქართველოს ტერიტორიის გადაცემისკენ მიმართული ქმედება ედებათ.

„ჩემთვის ცნობილია, რომ ეს კომისია შეიქმნა ჯერ კიდევ 1994 წელს და პირველი ერთობლივი სხდომა აზერბაიჯანისა და საქართველოს კომისიების ჩატარდა 1996 წლის ივნისში.

2014 წლის იანვარში ჩემთან ისტორიის ინსტიტუტში მოვიდა იმდროინდელი კომისიის წევრი ნოდარ ხორბალაძე. მან მითხრა, რომ ირაკლი ალასანიას დავალებით მას დაევალა მასალების შეგროვება საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დასადგენად, მათ შორის გარეჯის ტერიტორიაზე. იგი მეუბნებოდა, რომ კომისიაში ჰყავდათ მოღალატეები და დაასახელა ერთი, ივერი მელაშვილი.



მისი განმარტებით, ისინი წლების წინ კომისიის მუშაობისას საზღვრის ხაზს ალბომებში ავლებდნენ საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ, რის გამოც ჩიჩხიტურისა და უდაბნოს მონასტრის კომპლექსები იდგა დაკარგვის საფრთხის წინაშე. მან საილუსტრაციოდ მაჩვენა მის ხელთ არსებული ალბომი, რომლებშიც ჩაკერებული იყო რუკები და წითელი კალმით იყო გავლებული საზღვრის ხაზები....

ამავე წლის ზაფხულში გარეჯის ტერიტორიაზე, წმინდა დავითის ლავრაში, შევხვდი მამა კირიონს. აქვე მოგახსენებთ, რომ მე მამა კირიონს ვიცნობ მისი მოსვლის დღიდან, 90 წლებიდან. იგი ფაქტიურად აქ გაიზარდა. მინდა გითხრათ, რომ ის ისეთი პატრიოტი, მორწმუნე, შეუვალი და ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანია, რომ ძალიან გული შესტკიოდა და განიცდიდა გარეჯის პრობლემებს.

მე როდესაც შევხვდი მას ზაფხულში, მანაც ზუსტად იგივე მითხრა, რაც ნოდარ ხორბალაძემ, რომ კომისია მოღალატეობრივი ქმედებების გამო არ იყენებდა 1938 წლის 1:200 000 მასშტაბის რუკის ხაზს და საქართველოს შეიძლება დაეკარგა გარეჯის კომპლექსის მნიშვნელოვანი ტერიტორია. მამა კირიონს იმის შემდეგაც ბევრჯერ შევხვედრივარ გარეჯის ტერიტორიაზე, სულ ამას ჩიოდა და ცდილობდა, ხმა მიეწვდინა მაღალი თანამდებობის პირებისთვის.

აქვე მოგახსენებთ, რომ თუ არ ვცდები, 2015 წელს მამა კირიონმა მაჩვენა ამ 1938 წლის 1:200 000 მასშტაბის რუკის ფერადი ქსეროასლი, რომლის ხაზებში ნამდვილად მოქცეული იყო ჩიჩხიტურისა და უდაბნოს მონასტრის კომპლექსები. ბოლოს 2019 წლის ნოემბერში ჩემი მოთხოვნით შევხვდი კომისიის თავმჯდომარე ლაშა დარასელიას, სადაც მე ვნახე 1938 წლის 1:500.000 მასშტაბის რუკის ასლი. სხვა შეხება კომისიასთან არ მქონია“, – წერს ვლადიმერ მირიანაშვილი საკუთარ ჩვენებაში.

„პრაიმტაიმისთვის“ ასევე ცნობილი გახდა ალექსანდრე მათიაშვილის ჩვენება, რომელიც წარსულში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიწათმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი გახლდათ.



მათიაშვილი ყვება, რომ მის სამსახურში ინახებოდა რუკა, სადაც დავითგარეჯი მთლიანად საქართველოს საზღვრებშია მოქცეული, თუმცა წლების წინ მას ეს რუკა ივერი მელაშვილმა გამოართვა და უკან აღარ დაუბრუნებია.

„მე დამიკავშირდა ივერი მელაშვილი. იგი პირადად იყო ჩამოსული საგარეჯოს რაიონში, ჩვენს სამსახურში, სადაც მას ვაჩვენე აღნიშნული რუკა. ის დაინტერესდა ამ რუკით და მომთხოვა მისი გადაცემა, ამასთან, დამპირდა, რომ რუკას მალევე უკან დამიბრუნებდა. მე მართლაც გადავეცი ივერი მელაშვილს ზემოთ აღნიშნული რუკა, რომელიც მან წაიღო და მას შემდეგ აღარ დაუბრუნებია.

რუკის წაღების დროს მე ივერი მელაშვილს ვუთხარი, რომ სადელიმიტაციო სამუშაოების დროს გაეთვალისწინებინა აღნიშნული რუკის მონაცემები, ვინაიდან იგი საქართველოსთვის კარგ პირობებს ითვალისწინებდა და შეესაბამებოდა რეალურ ვითარებას.

გაითვალისწინა თუ არა ივერი მელაშვილმა აღნიშნული საკითხი, ჩემთვის უცნობია. მე ასევე არ ვიცი, თუ რატომ არ დამიბრუნა აღნიშნული რუკა და ასევე უცნობია, თუ რა უქნა ივერი მელაშვილმა ამ რუკას“, – წერს ჩვენებაში ალექსანდრე მათიაშვილი.

# საბავშვო ბაღები, სადაც საარჩევნო უბნებია განთავსებული, 28 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით დაიხურება



თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილებით, ის საბავშვო ბაგა-ბაღები, რომელთა შენობებშიც საარჩევნო უბნებია განთავსებული, 28 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით არ იმუშავებს. გადაწყვეტილება 31 ოქტომბერს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება. აღნიშნულ ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს.

საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ კახაბერ გვანცელაძის განცხადებით, არჩევნების მეორე დღეს, 2 ნოემბერს, ყველა ასეთ ბაღში ჩატარდება მასშტაბური სადეზინფექციო სამუშაოები იმისთვის, რომ 3 ნოემბერს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა სააღმზრდელო პროცესი კვლავ უსაფრთხო გარემოში განაახლონ.

თბილისში ამჟამად 183 საბავშვო ბაგა-ბაღი ფუნქციონირებს, რომელთაგან 104-ში საარჩევნო უბნებია განთავსებული. სააღმზრდელო პროცესის შეწყვეტის მიუხედავად, ბაღებში საარჩევნო კომისიები მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ.

# ლევან ხაბეიშვილი: „ჩვენი მთავარი მტერი ის ადამიანია, რომელმაც კრიმინალური მთავრობა დაგვასვა თავზე და ამ ქვეყანას ძარცვავს“

– ჩვენი მთავარი მტერი ის ადამიანია, რომელმაც კრიმინალური მთავრობა დაგვასვა თავზე და ამ ქვეყანას ძარცვავს. დარწმუნებული ვარ, რომ 31 ოქტომბერს საქართველოში აუცილებლად გათენდება, – განაცხადა ნაციონალური მოძრაობის წევრმა ლევან ხაბეიშვილმა საჩხერეში ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატ გიორგი კაპანაძის წარდგენისას.



მისივე თქმით, საზოგადოების გაბრაზება მიმართულია არა „ქართული ოცნების“ ამომრჩევლის, არამედ იმ გაჭირვების მიმართ, რომელშიც ქვეყანა ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებამ ჩააგდო.

„თქვენ გამოხატავთ ასიათასობით ჩვენი თანამოქალაქის აზრს, თუმცა, ბევრისგან განსხვავებით, თქვენ ვერ შეგაშინეს, ჩვენ ვერ „დაგვაჩმორეს“, თქვენ აქ ხართ და ვიბრძოლებთ საქართველოს უკეთესი მომავლისთვის. გვიყურებენ „ქართული ოცნების“ მომხრეები და ჰგონიათ, რომ მათზე ვართ გაბრაზებული ან ვინმეს საწინააღმდეგო აქცია გვაქვს. ჩვენ ვეწინააღმდეგებით რუსეთს, ვეწინააღმდეგებით ოლიგარქს და, ამ ქვეყანაში რომ სიკეთე შეიქმნება, ეს იქნება მათთვისაც. „ქართული ოცნების“ მომხრეები ახლა მოკალათებული არიან ტელევიზორებთან და ჰგონიათ, რომ ცა ჩამოენგრათ იმიტომ, რომ თქვენ ბევრნი ხართ, ლაღები ხართ, იბრძვით და გაანათებთ აუცილებლად საქართველოში. ჩვენი ქვეყანა არ არის ერთი ადამიანის, ჩვენი ქვეყანა არ არის კრიმინალების და არ არის „ქართული ოცნება“, – განაცხადა ლევან ხაბეიშვილმა.

# სოსო ფხაკაძე: „მივიღეთ 100%-იანი დაპირება, რომ სახელმწიფო ე.წ. ლოკდაუნს არ აპირებს“



– მივიღეთ 100%-იანი დაპირება, რომ სახელმწიფო ე.წ. ლოკდაუნს არ აპირებს, ეს არასწორი იქნება, – განაცხადა პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს ბიზნესასოციაციის პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ.

მისივე თქმით, ე.წ. ლოკდაუნს ვერც ქვეყნის ეკონომიკა გაუძლებს და არც არის ამის აუცილებლობა.

„პრემიერ-მინისტრმა 3-ჯერ თუ 4-ჯერ გვითხრა, რომ ე.წ. ლოკდაუნი არ იქნება. ეს იყო ერთსულოვნად, უნისონში ვიყავით, ჩვენი ბიზნესის თხოვნა, რომ ასეთი ჩაკეტვები არ მოხდეს. ამას მთავრობა არ აპირებს. პირველი, რაც გვითხრა პრემიერმა, იყო ეს და შემდეგ ამ დისკუსიის პროცესში რამდენიმეჯერ ახსენა. ამას ვერც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა გაუძლებს და ვერც ვხედავთ ამის აუცილებლობას. ჯერ ერთი, საკმაო გამოცდილებაა დაგროვებული იმისთვის, რომ ამ წერტილოვანი ჩაკეტვებით გადაწყდეს პრობლემა და ახლა ჩაკეტვა თეორიულადაც რომ მოხდეს, უფრო მეტ ზიანს მიიღებს საზოგადოება და ქვეყანა, ვიდრე სიკეთე იქნება. ჩვენც გავამხნევეთ პრემიერი და, როცა ვამხნევებდით, გვითხრა, საკმაოდ მხნედ ვარო. ამ სიტუაციაში ყველას ჩვენი წილი პასუხისმგებლობა გვაქვს“, – განაცხადა ფხაკაძემ.

# პროკურორი ყაზარაშვილი: „დაცვის მხარემ ულტიმატუმი წამოგვიყენა“

## რა ხდება გიორგი შაქარაშვილის საქმის სასამართლოზე



ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის მკვლელობაში ბრალდებულების ადვოკატებმა გუშინ, 20 ოქტომბერს, სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის ყველა მტკიცებულების უდავოდ ცნობა მოითხოვეს, რასაც პროკურატურა არ დაეთანხმა.

როგორც ადვოკატები აცხადებენ, აღნიშნული შუამდგომლობის მიზეზი გახლავთ ის, რომ პროკურატურას გიორგი შაქარაშვილის მკვლელობაში ბრალდებულების მონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ აქვს წარმოდგენილი.

არასრულწლოვანი ბრალდებულის, ზ.ხ-ს ადვოკატის, გიორგი გელხაურის განცხადებით, ისინი მზად იყვნენ, სასამართლოს რამდენიმე დღეში აღნიშნულ საქმეზე განაჩენიც გამოეცხადებინა, თუმცა, ადვოკატის თქმითვე, პროკურატურამ საკუთარი მტკიცებულებები არ ცნო უდავოდ.

– დაცვის მხარე ყოველთვის ვაპელირებთ იმ გარემოებაზე, რომ ის საქმის მასალები, რომელიც სასამართლოშია პროკურატურის მხრიდან წარმოდგენილი, არც ერთი არ შეიცავს იმ გარემოებას, რომელიც დაადასტურებს არასრულწლოვნისა და სხვა ბრალდებულების ბრალეულობას განზრახ მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, დაცვის მხარემ გადაწყვეტილება მივიღეთ, ბრალდების მხარის ყველა მტკიცებულება უდავო გაგვეხადა და ვუთხარით, სასამართლომ მიიღოს მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე გადაწყვეტილებაო. რაც იმას ნიშნავს, რომ ეს საქმე ერთ კვირაში უნდა დასრულებულიყო.

აღნიშნულთან დაკავშირებით პროკურატურამ უარი განაცხადა და თავისივე მტკიცებულებები გახადა სადავოდ, ანუ თვითონ რა მტკიცებულებებიც აქვთ სასამართლოში მოტანილი, ის სადავო გახადეს.

ეს ემსახურება შემდეგს: შეცდომაში შეჰყავთ საზოგადოება და ამბობენ, თითქოს რაიმე სახის მტკიცებულებით დასტურდება ამ პირების განზრახ მკვლელობაში ბრალეულობა. 13 ტომის მოცულობით საქმეში არც ერთი მტკიცებულება არ ადასტურებს ამ პირების ბრალეულობას. ჩვენ შევთავაზეთ, რომ სასამართლოს ამ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე მიეღო გადაწყვეტილება, რაზეც უარი განაცხადეს, – აცხადებს გელხაური.

მისივე თქმით, სახელმწიფო ბრალდება მოწმეებს იმ პასუხებს კარნახობს, რისი მიღებაც მათ სურთ.

– დაიკითხა ექსპერტი, რომელიც საგამოძიებო ექსპერიმენტის ფოტოგადაღებას აწარმოებდა, ასევე გარდაცვლილის დასურათებას ახდენდა. ექსპერტმა ცალსახად განაცხადა, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, როცა პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა მოწმეებმა ხიდზე გადაირბინეს და ქვემოთ ჩაირბინეს, მოძრაობა გადაკეტილი იყო.

ეს საგამოძიებო მოქმედება რეალობას აცდენილია, რადგან 19 ივნისის ღამეს ინტენსიური მოძრაობა იყო და ამ დროს ხიდზე გადასვლა, ავტობანის გადაკვეთა უფრო დიდ წინააღმდეგობასთან იყო დაკავშირებული, ვიდრე საგამოძიებო მოქმედებისას, რომელიც პროკურატურამ ჩაატარა.

აღნიშნული ბრალდებამ გააპროტესტა და თქვა, გზა ჩაკეტილი არ ყოფილაო. რეალურად, ბრალდება მოწმეს პასუხებს კარნახობს და, სამწუხაროდ, ამ კარნახით არიან დაკავებული, – განაცხადა გელხაურმა.

❖ ❖ ❖

ადვოკატების პოზიციას ულტიმატუმი და ერთგვარი ხრიკი უწოდა საქმის პროკურორმა დავით ყაზარაშვილმა.

– პირდაპირ გეტყვით, ეს იყო ერთგვარი ხრიკი, ანუ მათ იცოდნენ წინასწარ ჩვენი პასუხი იმასთან დაკავშირებით, რომ, რა თქმა უნდა, უდავოდ არ გავხდიდით ბრალდების მხარის იმ მოწმეებს, რომლებიც ბრალდებულები არიან. მათი ახლობლები და საქმესთან კავშირში მყოფი ის პირები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს წარმოადგენენ, ეს არის ბრალდებულების მხარე, შესაბამისად, ყველა ამ ადამიანის ჩვენებასა და მოწოდებულ ინფორმაციას ჩვენ არ ვეთანხმებით და ვერც დავეთანხმებით. უდავოდ გახდა ნიშნავს იმას, რომ ეს მტკიცებულება როგორიც არის, უნდა მივიღოთ ასე.

ჩვენ არ ვიღებთ ამ მტკიცებულებებს ისე, როგორც არის, ყველა პირს მოუწევს სასამართლოში პასუხის გაცემა იმ კითხვებზე, რომლებიც ჩვენ გვაქვს. მხოლოდ ბრალდებულებზე არ არის საუბარი, ჩვენ დაცვის მხარეს ვთავაზობთ, თუ ისინი რეალურად უყურებენ ამ პერსპექტივას, ჩვენც მზად ვართ, რომ გავხადოთ ის მტკიცებულებები უდავოდ, რომლებზეც ჩვენ ვთანხმდებით.

ჩვენ მივაღწევთ შეთანხმებას, თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მათ იცოდნენ ჩვენი პოზიცია და იცოდნენ, რომ ჩვენ არ შევცდებოდით ამ კუთხით და ვერ დაგვიყოლიებდნენ. წინასწარ იმის განზრახვით, რომ ჩვენ არ დავეთანხმებოდით, მათ დააყენეს პოზიცია, შუამდგომლობაც კი არ დაუყენებიათ, უბრალოდ, შეთავაზება მოახდინეს სასამართლო პროცესზე.

ჩვენ შეგვიძლია, დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან და უდავოდ გავხადოთ ის მტკიცებულებები, რომლებიც შეგვიძლია გავხადოთ. დაახლოებით 90%, რომელშიც არ შედის ბრალდებულების ჩვენებები, ბრალდებულების მხარის მეგობრების და ახლობლების ჩვენებები, რომლებიც მათთან ერთად მოქმედებდნენ იმ პერიოდში და კიდევ, სხვა ისეთი პირების ჩვენებები, რომლებიც არ შეესაბამება რეალობას და ეს რეალობა უნდა დადგინდეს მათი დაკითხვის შედეგად, თუ, რა თქმა უნდა, ისინი არიან თანახმა, რეალური ინფორმაცია მოგვაწოდონ.

გიმეორებთ, ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი შეთანხმების, თუმცა ეს უნდა იყოს ლოგიკურ ჭრილში და არა ისე, როგორც დაცვის მხარემ გააკეთა, ან ყველაფერი, ან არაფერი. ეს არის ულტიმატუმი, რომელსაც თავადვე გასცეს პასუხი, – განაცხადა ყაზარაშვილმა.

ცნობისთვის, ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის მკვლელობას „ტოიოტა ქამრის“ 5 მგზავრს – არჩილ გაგნიძეს, ვახტანგ ჩიქოვანს, ნიკოლოზ რევაზიშვილს, ზ.ხ.-ს და ა.ქ.-ს ედავებიან.

# ზაზა მურჯიკნელს ნოდარ გუგეშაშვილის მკვლელობისა და დოდო გუგეშაშვილზე თავდასხმისთვის 20 წელი მიესაჯა



დოდო გუგეშაშვილის განზრახ მკვლელობის მცდელობისა და მისი ვაჟის, ნოდარ გუგეშაშვილის მკვლელობის საქმეზე ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტი გამოიტანეს.

19 ოქტომბერს, საღამოს, მსაჯულებმა ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ დანაშაულში ბრალდებულ ზაზა მურჯიკნელის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი ერთხმად გამოიტანეს.

სასამართლოში ბრალდების მხარეს პროკურორები ნინო აღლემაშვილი და ლიკა ჩადუნელი წარმოადგენდნენ, ბრალდებულის ინტერესებს კი ადვოკატი ვანო ნორაკიძე იცავდა.

ამ ვერდიქტის საფუძველზე, სასამართლომ ბრალდებულის მიმართ სასჯელის სახედ და ზომად 20 წლით თავისუფლების აღკვეთა განსაზღვრა.

„საქმე ეხება 2018 წლის 7 თებერვალს დოდო გუგეშაშვილსა და მის შვილზე საცხოვრებელ სახლში განხორციელებულ შეიარაღებულ თავდასხმას, რომლის დროსაც ბრალდებულმა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, დამიზნებით რამდენჯერმე გაისროლა ჯერ დედის, ხოლო შემდეგ შვილის მიმართულებით და მათ სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის მრავლობითი დაზიანებები მიაყენა.

დაზიანებების შედეგად გრიგოლ გუგეშაშვილი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო დოდო გუგეშაშვილს გადაუდებელი სამედიცინო ღონისძიებების შედეგად შეუნარჩუნდა სიცოცხლე. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ სხდომებზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურებულად მიიჩნია ზ.მ-ს მიერ ბრალად წარდგენილი ქმედებების ჩადენის ფაქტი.

მათ გამამტყუნებელი ვერდიქტი ერთხმად, სათათბიროდ გასვლიდან ორ საათში მიიღეს და ბრალდებული ზ.მ. დამნაშავედ ცნეს დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობაში, ორი პირის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობაში და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა– ტარებაში.

ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე, სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა და მას სასჯელის სახედ და ზომად 20 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

განაჩენი შესაძლებელია ერთჯერადად, საკასაციო წესით გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლების არსებობისას“, – ნათქვამია ინფორმაციაში

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დოდო გუგეშაშვილის ოჯახზე თავდასხმაში ბრალდებული მიმდინარე წლის იანვარში დააკავა. ბრალდებული ყოფილი სამხედრო მოსამსახურე, 45 წლის ზაზა მურჯიკნელი წარსულში, კერძოდ, 2009 წელს, ასევე მძიმე დანაშაულისთვის იყო ნასამართლევი.

# „ტყუილად ნუ დაგვირეკავთ!“

## შსს-ს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის, 112-ის განცხადება



112 აქტიურად არის ჩართული კორონავირუსის მართვის პროცესში და განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს, რათა თითოეულმა მოქალაქემ დროული და მაღალკვალიფიციური მომსახურება მიიღოს.

კორონავირუსის პანდემიამდე ცენტრში 24 საათის განმავლობაში საშუალოდ 13.000-მდე ზარი შემოდიოდა, დღევანდელი მონაცემებით კი ოპერატორები 18.000-მდე ზარს პასუხობენ. შესაბამისად, მობილიზებულია დამატებითი ცვლები, რათა თითოეულ ზარზე ოპერატიულად მოხდეს რეაგირება.

როგორც მოგეხსენებათ, 112-ს კორონავირუსის მართვის პროცესში მნიშვნელოვანი ფუნქცია დაემატა. თითოეულ მოქალაქეს კორონავირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომების შემთხვევაში შეუძლია, დარეკოს 112-ზე, ვირუსთან დაკავშირებული შეტყობინებები კი ოპერატორების მხრიდან კლასიფიცირდება და მწვავე შემთხვევები – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს, ხოლო არამწვავე გამოძახებები ოჯახის ექიმებს გადაეცემა.

ქვეყანაში შექმნილი ეპიდვითარების მიუხედავად, 112-ში 24 საათის განმავლობაში 3.000-მდე არამიზნობრივი და საინფორმაციო ტიპის ზარი ფიქსირდება, რაც აფერხებს მუშაობის პროცესს. შედეგად, ვისაც რეალურად სჭირდება დახმარება, მაშინ როცა წამები გადამწყვეტია, შეიძლება ვერ დაგვიკავშირდეს, რაც იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას.

ინფიცირების რაოდენობის ზრდასთან ერთად, იზრდება დატვირთვა. 112 განაგრძობს 24 საათის განმავლობაში განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობას, რათა თითოეულმა მოქალაქემ მაღალი სტანდარტის მომსახურება მიიღოს, როგორც გადაუდებელი შემთხვევის დროს, ასევე ვირუსთან დაკავშირებით.

მოქალაქეებს კი გთხოვთ, გამოიჩინოთ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და არამიზნობრივად არ დარეკოთ 112-ზე.

დარეკეთ მხოლოდ მაშინ, როცა გესაჭიროებათ საპატრულო პოლიციის, სასწრაფო სამედიცინო და სახანძრო/სამაშველო სამსახურების დახმარება. ასევე, დაგვიკავშირდით კორონავირუსული სიმპტომების გამოვლენისთანავე, რათა მიიღოთ შესაბამისი კონსულტაცია ოჯახის ექიმისგან.

112 არის გადაუდებელი დახმარების ნომერი. კორონავირუსის მართვის პროცესში დაწესებულ წერტილოვან შეზღუდვებსა და დაშვებებზე დაკავშირებული საინფორმაციო ტიპის შეკითხვებისთვის შეგიძლიათ მიმართოთ მთავრობის ცხელ ხაზს – 144.

# საპატრულო პოლიცია კოვიდ 19-ის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული რეკომენდაციების აღსრულების მიზნით მონიტორინგს აგრძელებს




შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, კოვიდ 19-ის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული წესებისა და რეკომენდაციების აღსრულების მიზნით, მეტროსადგურებთან ინტენსიურ მონიტორინგს აგრძელებენ.

დედაქალაქში არსებულ ყველა მეტროსადგურთან მობილიზებული არიან პატრულ-ინსპექტორები, რომლებიც მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მეტროსადგურში შემსვლელი პირების მიერ კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მოქმედი წესების დაცვასა და პირბადეების ტარებას აკონტროლებენ. კონტროლი საპატრულო პოლიციის მიერ მეტროსადგურების შიდა ტერიტორიაზეც ხორციელდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოქალაქეებს მოუწოდებს, ატარონ პირბადე, შეძლებისდაგვარად დაიცვან დისტანცია და დაემორჩილონ საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მითითებებს.

# პოლიციამ თბილისში გაუპატიურებისა და თვითნებობის ბრალდებით 18 წლის ი.ზ. დააკავა

გაუპატიურებისა და ძალადობით ჩადენილი თვითნებობის ბრალდებით თბილისში კაცი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2002 წელს დაბადებული ი.ზ. გაუპატიურებისა და ძალადობით ჩადენილი თვითნებობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

„დანაშაული 6-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა კაცმა 1995 წელს დაბადებულ მ.ბ.-ს, მისსავე საცხოვრებელ სახლში, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდეგაც, მსხვერპლის ნების საწინააღმდეგოდ, მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 360-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გაუპატიურებასა და ძალადობით ჩადენილ თვითნებობას გულისხმობს“, – აღნიშნულია შსს-ს უწყებაში.

# აგრარული ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიებზე პოლიცია კოვიდ 19-ის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული რეკომენდაციების აღსრულების მონიტორინგს აგრძელებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ასევე, რეგიონული დანაყოფების თანამშრომლები, კოვიდ 19-ის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული წესებისა და რეკომენდაციების აღსრულების მიზნით მონიტორინგს აგრარული ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიებზე ინტენსიურ რეჟიმში აგრძელებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ბაზრებისა და ბაზრობების შესასვლელებთან, ასევე, შიდა პერიმეტრზე – სავაჭრო სივრცეში მოქალაქეების მიერ პირბადეების სწორად ტარებას და კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის მოქმედი წესების დაცვას აკონტროლებენ. სამართალდამცველები დედაქალაქსა და საქართველოს დიდ ქალაქში არსებული აგრარული ბაზრების, აგრეთვე, ბაზრობების ტერიტორიაზე, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად, ინტენსიურ რეჟიმში ახდენენ პატრულირებას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, დაიცვან სოციალური დისტანცია, სწორად ატარონ პირბადე და დაემორჩილონ პოლიციელთა მითითებებს.

# ილჰამ ალიევი: „ზანგილანი ჩვენია! ყარაბაღი ჩვენია!“

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ის ტერიტორიები დაასახელა, რომლებიც აზერბაიჯანულმა არმიამ ოკუპაციისგან გაათავისუფლა.

– ფუზულის რეგიონის სოფლები: დორდჩინარი, კურდლერი, იუკშარი აბდულრაჰმანლი, გარგაბაზარის, აშაგი ვეისალი, იუკშარი აიბასანლი; ჯაბრაილის რაიონის სოფლები: სარაფშა, ჰასანგაიდი, ფუგანლი, იმამგალი, დაშ ვეისალი, აგტეპე, იარამედლი; ხოჯავენის რეგიონის: აგჯაკენდი, მულკუდერე, დაშბაში, გუნაშლი, ვანგი; ზანგილანის რაიონიდან: ჰავალი, ზარნალი, მამადბეილი, ჰაკარი, შარიფანი, მუგანლი და ქალაქი ზანგილანი! ზანგილანი ჩვენია! ყარაბაღი ჩვენია! – განაცხადა ილჰამ ალიევმა სატელევიზიო მიმართვაში.

მისივე თქმით, სოფელ ვანგს სახელი შეუცვალა და ჩინარლი დაარქვა.



– აზერბაიჯანის წინააღმდეგ განხორციელებულ თავდაცვით ოპერაციებს კიდევ 43 სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ამის შესახებ ინფორმაციას არაღიარებული მთიანი ყარაბაღის ე.წ. თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით სომხური მედია ავრცელებს.

მისივე ინფორმაციით, 27 სექტემბრიდან დღემდე დაღუპული ჯარისკაცების რაოდენობა 772-მდე გაიზარდა.

შეგახსენებთ, 17 ოქტომბერს აზერბაიჯანმა და სომხეთმა მთიან ყარაბაღში ჰუმანიტარული მიზნით ცეცხლის შეწყვეტის ახალ შეთანხმებას მიაღწიეს. ქვეყნების საგარეო უწყებებში განაცხადეს, რომ ცეცხლი 18 ოქტომბრის 00:00 საათიდან შეწყდებოდა, თუმცა მთიან ყარაბაღში 27 სექტემბერს დაწყებული საბრძოლო მოქმედებები არ წყდება.

მხარეები ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევაში ერთმანეთს ადანაშაულებენ.

# კონგოს ციხიდან ისლამისტებმა 900-მდე პატიმარი გაათავისუფლეს



კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ბენში შეიარაღებულმა პირებმა ადგილობრივ საპატიმროზე თავდასხმა განახორციელეს.

თავდამსხმელებმა ციხიდან 900-მდე პატიმარი გაათავისუფლეს.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არავის აუღია, თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება თავდასხმაში ისლამისტურ დაჯგუფება „მოკავშირეთა დემოკრატიულ ძალებს“ ადანაშაულებს.

„მოკავშირეთა დემოკრატიული ძალები“ უგანდური შეიარაღებული დაჯგუფებაა, რომელიც 90-იანი წლების შემდეგ კონგოს აღმოსავლეთ ნაწილში მოქმედებს. გაეროს მონაცემებით, დაჯგუფების წევრებმა 2019 წლის დასაწყისიდან 1.000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დახოცეს.

# უკრაინა ადგილობრივი არჩევნების წინ

25 ოქტომბერს უკრაინაში ადგილობრივი არჩევნები ჩატარდება.

ძალთა განლაგება შემდეგია: ლიდერობს პარტია „ხალხის მსახური“ – 15%.; მეორეზე გადაინაცვლა პეტრო პოროშენკოს ბლოკმა „ევროპულმა სოლიდარობამ“ – 12%; მესამეზეა პრორუსული ორგანიზაცია „ოპოზიციური ბლოკი სიცოცხლსათვის“ – 11,5%; მეოთხეზე – იულია ტიმოშენკოს „ბატკივშჩინა“ – 10%.

პრორუსული ორგანიზაციის პოზიციები სუსტდება. თუ აგვისტოში მას მხარს უჭერდა 16,5%, ახლა ეს 11,5%-მდე შემცირდა.

– მოსკოვი ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ მედვედჩუკის პარტიამ მაქსიმალურ წარმატებას მიაღწიოს უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებში. ამის შემდეგ კრემლი სეპარატისტული მოძრაობის გაფართოებას შეეცდება, – წერს ექსპერტი ვიტალი პოტნიკოვი.



**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ზვიგენი დამსვენებელს თავს დაესხა და ფეხის ნაწილი მოაჭამა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამი-ბიჩის სანაპირო წყლებში ზვიგენმა მოცურავეს ფეხის ნაწილი მოაჭამა. ტურისტი მარკ ბოდენი, კალიფორნიის შტატიდან, ზღვაში ცურავდა, როდესაც თავს აგრესიული ზვიგენი დაესხა. მტაცებელმა მას ფეხზე 20-სანტიმეტრიანი ნაჭრილობევი დაუტოვა. მამაკაცს ნაპირზე გამოსვლასა და მაშველის მოხმობაში შეყვარებული დაეხმარა. დაშავებულს ჭრილობა ადგილზე დაუმუშავეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს.



– ფეხში მძლავრი დარტყმა ვიგრძენი, მივხვდი, რომ აქ რაღაც ისე ვერ იყო, – იხსენებს ბოდენი, – მე და ჩემმა მეგობარმა გოგონამ ფეხი დავათვალიერეთ და მასზე დიდი ნაკბენი აღმოვაჩინეთ. ვერ ვიჯერებდი, რომ თავს ზვიგენი დამესხა, თუმცა ვხვდებოდი, რომ, დიდი ალბათობით, სწორედ ასე იქნებოდა.

დამსვენებლები ამტკიცებენ, რომ ამ შემთხვევამდე მცირე ხნით ადრე წყალში უამრავი თევზი შენიშნეს და, სავარაუდოდ, მამაკაცზე ზვიგენის თავდასხმის მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

# ოქროს მონეტების წვიმამ ხალხი ქუჩაში გამოიყვანა

ინდოეთის კარნატაკას შტატის ქალაქ ბანგალორის მახლობლად ციდან ოქროს მონეტების ჩამოცვენაზე გავრცელებულმა ხმებმა ხალხი ქუჩაში გამოიყვანა და არეულობა გამოიწვია. თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა.

ქუჩაში გამოსული განძისმაძიებლების ბრბომ გზის სავალი ნაწილი გადაკეტა. ერთნი ოქროს გზისპირას ეძებდნენ, სხვებმა მიწის ჩიჩქნას მიჰყვეს ხელი იმის იმედით, რომ ოქროს მიწის ქვეშ იპოვიდნენ. რამდენიმემ მართლაც იპოვა ლითონის პატარა მონეტები, რომლებიც ოქროს წააგავდა. ისინი ანალიზის გასაკეთებლად გადააგზავნეს.

პოლიციელებმა, რომლებიც ბრბოს შეკავებას ცდილობდნენ, განაცხადეს, რომ ნაპოვნი მონეტები ციდან არ ჩამოცვენილა და, დიდი ალბათობით, ნაყალბევია. ოლქში დათარეშობენ ყალბი მონეტების დამამზადებელი ბანდები, რომელთაც, შესაძლოა, თავიანთი საქონლის ნაწილი გზისპირას გადაყარეს.

ჭორების გავრცელების წყაროდ, შესაძლოა, იქცა ადგილობრივი ტელევიზიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია თითქოსდა გუჯარათის შტატის ქალაქ სურატში მოსული ოქროს წვიმის თაობაზე.



**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## საზოგადოება

# ნიკო დადიანის სასახლე დამთვალიერებელს მიიღებს



50 წლის შემდეგ სამეგრელოს თავად ნიკო დადიანის სასახლე დამთვალიერებელს კვლავ მიიღებს.

ინფორმაცია ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– თითქმის ნახევარსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ სამეგრელოს უბრწყინვალესი თავადის ნიკო დადიანის სასახლე დამთვალიერებლის მისაღებად ემზადება!

საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით აღდგენილი ეს უნიკალური შენობა უკვე სრულად დატვირთულია, ჩატარებულია წარმოუდგენელი მასშტაბის სამუშაო, გადარჩენილია ქართული საერო არქიტექტურის დიდებული ძეგლი! მუზეუმის შენობაში უკვე დაიწყო შიდა საფონდო და საექსპოზიციო სამუშაოები.

დღეს დადიანების საუკუნოვანი ბიბლიოთეკა დავათვალიერე. საუკეთესოდაა მომზადებული ე.წ. ფრანგული ტიპის ვიტრინები, სადაც შესანიშნავი ნივთები განთავსდება.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანადგომით მაქვს პატივი, ზუგდიდის დადიანების სასახლეში ახალი ექსპოზიციის მოწყობასა და მუზეუმის განვითარების ახალი გეგმის შექმნას მე ვუხელმძღვანელო. ეს დიდებული და საპასუხისმგებლო საქმეა, რასაც კარგად ვაცნობიერებ და, იმედი მაქვს, ხელოვნების სასახლისა და ზუგდიდის დადიანების სასახლეების თანამშრომლების თანადგომით ამ ტვირთს ადვილად ავწევ! ჩვენ ვიწყებთ!

# ანანურის ციხე-კომპლექსს რეაბილიტაცია უტარდება

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვითა და ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ანანურში დასრულდა ციხე-კომპლექსის გალავნისა და ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი. იგი მოიცავდა ძეგლის კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ყველა უბანსა და არქიტექტურულ ნაგებობას. სარეაბილიტაციო პროექტი ძეგლზე ტურისტული ნაკადების გადაადგილების მარშრუტებსაც გაითვალისწინებს, რაც სამომავლოდ ქაოტური ვითარების შექმნის ალბათობას გამორიცხავს.

შესრულებული სამუშაოების შედეგად მოეწყო და რესტავრაცია ჩაუტარდა ქვისა და აგურის ქონგურებს, რესტავრირდა ქვის ბილიკები, აღდგა ჩრდილოეთ გალავანზე ჩამოშლილი ქვის საპირე წყობა სამრეკლოს გუმბათზე, დასუფთავდა და დამუშავდა აგურის წყობის ნაკერები წყლის ჭავლით და გაილესა კირის დუღაბით, კომპლექსის სამხრეთ ნაწილის ჩასასვლელი სრულიად გაიწმინდა ბიოსაფარისგან.

ანანურის კომპლექსის ტერიტორიაზე ჭარბი ტურისტული ნაკადების მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზებით მიმდებარე ტერიტორიაზე დასრულებულმა ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობის პროექტმაც, რომელიც ავტოსაპარკინგე მეურნეობის, სავაჭრო პავილიონებისა და გამწვანებული სივრცეების მოწყობას ითვალისწინებდა. ახალი ინფრასტრუქტურული სივრცე სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასა და სავაჭრო პროცესებს ხარისხობრივად გაამარტივებს.



**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# გარყვნილი მათემატიკის მასწავლებელი სასამართლო სკამზე აღმოჩნდა



ამერიკის პენსილვანიის შტატის ქალაქ კინსტერსვილის სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა და სასკოლო ჩოგბურთის მწვრთნელმა თავი დამნაშავედ ცნო იმ ფაქტზე, რომ ის მოსწავლე გოგონების კაბის ქვეშ იჭვრიტებოდა და ფოტოსურათებს უღებდა.

2019 წლის ოქტომბერში ერთ-ერთმა უფროსკლასელმა შენიშნა და ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ ათვალიერებდა 27 წლის მასწავლებელი ფრენსის ჯეიმს რეპერტ-უმცროსი ფოტოსურათს, რომელიც ერთ-ერთი მოსწავლე გოგონას კაბის ქვეშ იყო გადაღებული. გასული წლის დეკემბერში მასწავლებელი სამსახურიდან დაითხოვეს. ის იქ 2016 წლიდან მუშაობდა.

მიმდინარე წლის იანვარში რეპერტს ბრალდება წაუყენეს. ის შტატის პოლიციამ დაკითხა და მან აღიარა, რომ იღებდა ფოტოსურათებს რომელთა გამოყენებას საკუთარი სექსუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აპირებდა. მან კაბის ქვეშ ფოტოსურათი სამ მოსწავლე გოგონას გადაუღო. ასევე პოლიციელებმა მის ტელეფონში აღმოაჩინეს ფოტოსურათი, რომელზეც ის სრულიად შიშველი იყო აღბეჭდილი სკოლის ერთ-ერთი კაბინეტის დაფის ფონზე.

რეპერტმა სასამართლოზე თავი დამნაშავედ აღიარა. განაჩენის გამოცხადება 90 დღით გადაიდო, სასამართლო ჯერჯერობით იმაზე მსჯელობს, შეიძლება თუ არა სექსუალური ხასიათის დანაშაულად იქნას აღიარებული მისი ქმედება. თუ დადებითი გადაწყვეტილება იქნება მიღებული მათემატიკის ყოფილ მასწავლებელს მინიმუმ 15 წლით პატიმრობა ემუქრება და აღმოჩნდება იმ ადამიანების სიაში, რომლებსაც სექსუალური ხასიათის დანაშაული აქვთ ჩადენილი. ჯერჯერობით რეპერტი 500 ათასი დოლარის გირაოს გადახდის სანაცვლოდ თავისუფლებაზე იმყოფება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სვანური ფოლკლორული ტრადიციების ერთ-ერთი გამორჩეული დამცველი

## გიგო ჩამგელიანი გარდაიცვალა



სვანური ფოლკლორული ტრადიციების ერთ-ერთი გამორჩეული დამცველი და შემნახავი გიგო ჩამგელიანი 81 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია ფოლკლორის ეროვნულმა ცენტრმა გაავრცელა:

– 81 წლის ასაკში გარდაიცვალა სვანური ფოლკლორული ტრადიციების ერთ-ერთი გამორჩეული დამცველი და შემნახავი გიგო ჩამგელიანი.

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ, თანავუგრძნობთ ოჯახს, ახლობლებსა და ქართული ფოლკლორის გულშემატკივრებს.

# მარიამ კობახიძე „მასტერშეფს“ გამოეთიშა



კულინარიულ შოუ „მასტერშეფს“ კიდევ ერთი მონაწილე, მარიამ კობახიძე გამოეთიშა.

საუკეთესო ათეულის ორთაბრძოლაში იმუნიტეტი ნატალიამ მოიპოვა და გაიანესთან ერთად კრწანისი ვილა რეზიდენსის ოთახიდან ადევნებდა თვალყურს მოვლენების განვითარებას.

ჟიურის, ლუკა ნაჭყებიას, კონსტანტინე თედელურისა და ლევან კობიაშვილის გადაწყვეტილებით, ყველაზე ცუდი კერძი მარიამმა მოამზადა, ამიტომაც იგი შოუს მიღმა აღმოჩნდა.

„მასტერშეფის“ მეოთხე სეზონში გამარჯვებისთვის ამიერიდან 9 კონკურსანტი იბრძოლებს და ყოველ კვირას მათგან ერთი შოუს მიღმა აღმოჩნდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ვაისი სლოვაკეთში გაიხსენეს

დიდი შანსია, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვლადიმირ ვაისი სამუშაოდ სამშობლოში, სლოვაკეთში დაბრუნდეს. იქაური მედია ნაკრების მწვრთნელობის სავარაუდო კანდიდატებს შორის 56 წლის სპეციალისტს ასახელებს. ეს უცხო არ იქნება ვაისისთვის, რომელიც საკუთარი ქვეყნის ეროვნულ გუნდს 2008-12 წლებში წვრთნიდა.

ვაისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი წლის ბოლომდე აკავშირებს, ხოლო რა იქნება ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, ჯერჯერობით უცნობია. აქ მნიშვნელოვანი 12 ნოემბრის მატჩია – თბილისში, ჩრდილოეთ მაკედონიასთან, რომლის შედეგზეც არის დამოკიდებული, შეძლებს თუ არა საქართველოს ნაკრები ისტორიის დაწერასა და ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრას.

მეორე მხრივ, სლოვაკეთში მთავარი მწვრთნელის თანამდებობა სულ ახლახან პაველ ჰაპალს დაატოვებინეს. ჩეხ სპეციალისტთან დამშვიდობების მიზეზი, რომელიც სლოვაკებთან 2018 წლის ოქტომბრიდან მუშაობდა, გუნდის არადამაკმაყოფილებელი შედეგები გახდა. სლოვაკეთის ნაკრებმა, რომელიც, ჩვენ მსგავსად, ევრო 2020-ის ფლეი ოფის ფინალშია გასული და საგზურისთვის 12 ნოემბერს სტუმრად ჩრდილოეთ ირლანდიას უნდა დაუპირისპირდეს, ერთა ლიგაში ბოლო ორი თამაში წააგო.



სლოვაკეთის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობა უახლოეს მომავალში უნდა გამოაცხადოს. გუნდს დროებით ფედერაციის ტექნიკური დირექტორი სტეფან ტარკოვიჩი ჩაიბარებს, რომელიც ადრე ნაკრებში იან კოზაკის თანაშემწე იყო. სწორედ ის გაიყვანს სლოვაკეთის ნაკრებს ჩრდილოეთ მაკედონიასთან ფლეი ოფის ფინალურ მატჩში, მომავალი წლიდან კი თანამდებობას სხვა სპეციალისტს გადააბარებს. მათ შორის არის ვაისიც. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელს არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს სლოვაკური ფეხბურთის მამებთან.

# ფრანს ფუტბოლის ახალი ვერსია




2020 წელს ფრანგულმა ჟურნალმა ფრანს ფუტბოლმა „ოქროს ბურთის" დაჯილდოების ცერემონიალი არ ჩაატარა, თუმცა ახალი მოიფიქრა და წელს ყველა დროის სიმბოლურ ნაკრებს გააკეთებს.

გუნდი 3-4-3 სათამაშო სქემით იქნება შედგენილი, გამარჯვებულებსაც ის ჟიური გამოავლენს, რომელსაც „ოქროს ბურთის" მფლობელის ვინაობა უნდა დაესახლებინა.

სია მართლაც შთამბეჭდავია, თუმცა, როგორც ყოველთვის, ფეხბურთი გემოვნების თემაა და, ამავდროულად – საკამათოც.

მაშ ასე...

**მეკარეები**: ლევ იაშინი (სსრკ), გორდონ ბენქსი (ინგლისი), ტომას ნკონო (კამერუნი), ჯანლუიჯი ბუფონი, დინო ძოფი (ორივე იტალია), პეტერ შმეიხელი (დანია), იკერ კასილიასი (ესპანეთი), ედვინ ვან დე საარი (ნიდერლანდები), ზეპ მაიერი, მანუელ ნოიერი (ორივე გერმანია);

**მარცხენა მცველები**: ანდრეას ბრემე (გერმანია), რუდი კროლი (ნიდერლანდები), პაულ ბრაიტნერი (გერმანია), პაოლო მალდინი, ანტონიო კაბრინი, ჯიაჩინტო ფაკეტი (ყველა იტალია), მარსელო, ნილტონ სანტოსი, ჟუნიორი, რობერტო კარლოსი (ყველა ბრაზილია);

**მარჯვენა მცველები**: ჯუზეპე ბერგომი, კლაუდიო ჯენტილე (იტალია), მანფრედ კალტცი, კაფუ, ბერტი ფოგსი (ყველა გერმანია), კაფუ, კარლოს ალბერტო, ჯალმა სანტოსი (ყველა ბრაზილია), ვიმ სიურბირი (ნიდერლანდები), ლილიან ტიურამი (საფრანგეთი);

**ცენტრალური მცველები**: ფრანკო ბარეზი, ფაბიო კანავარო, გაეტანო შირეა (ყველა იტალია), ბობი მური (ინგლისი), ფრანც ბეკენბაუერი, მატიას ზამერი (ორივე გერმანია), დანიელ პასარელა (არგენტინა), მარსელ დესაი (საფრანგეთი), რონალდ კუმანი (ნიდერლანდები), სერხიო რამოსი (ესპანეთი);

**დაცვითი სტილის ნახევარმცველები**: იოჟეფ ბოჟიკი (უნგრეთი), ჟერსონი, დიდი, პაულო ფალკაო (ყველა ბრაზილია), სერხიო ბუსკეტსი, პეპ გვარდიოლა, ლუის სუარეს მირამონტესი, ხავი, ხაბი ალონსო (ყველა ესპანეთი), იოზეფ მასოპუსტი (ჩეხეთი), ლოთარ მათეუსი, ბერნდ შუსტერი (ორივე გერმანია), სტივენ ჯერარდი (ინგლისი), იოჰან ნეესკენსი, ფრენკ რაიკაარდი, კლარენს ზეედორფი (ყველა ნიდერლანდები), ანდრეა პირლო, მარკო ტარდელი (იტალია), ფერნანდო რედონდო (არგენტინა), ჟან ტიგანა (საფრანგეთი);

**20 შემტევი ნახევარმცველი**: რობერტო ბაჯო, სანდრო მაცოლა, ჯანი რივერა, ფრანჩესკო ტოტი (ყველა იტალია), გეორგ ჰაჯი (რუმინეთი), ბობი ჩარლტონი (ინგლისი), ანდრეს ინიესტა (ესპანეთი), ალფრედო დი სტეფანო (არგენტინა/ესპანეთი), რაიომონ კოპა, მიშელ პლატინი, ზინედინ ზიდანი (ყველა საფრანგეთი), ენცო ფრანჩესკოლი, ხუან ალბერტო სკიაფინო (ორივე ურუგვაი), ლადისლაო კუბალა, ფერენც პუშკაში (ორივე უნგრეთი), რუუდ გულიტი (ნიდერლანდები), დიეგო მარადონა (არგენტინა), პელე, სოკრატესი, ზიკო (ყველა ბრაზილია)

**მარცხენა თავდამსხმელები**: ოლეგ ბლოხინი (სსრკ), კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია), დრაგან ჯაიჩი (იუგოსლავია), რაიან გიგზი (უელსი), ტიერი ანრი (საფრანგეთი), რივალდი, რიველინო, რონალდინიო (ყველა ბრაზილია), კარლ-ჰაინც რუმენიგე (გერმანი), ხრისტო სტოიჩკოვი (ბულგარეთი);

**მარჯვენა თავდამსხმელები**: დევის ბექჰემი, კევინ კიგანი, სტენლი მეტიუზი (ყველა ინგლისი), ჯორჯ ბესტი (ირლანდია), სამუელ ეტოო (კამერუნი), ლუიშ ფიგუ (პორტუგალია), გარინჩა, ჟაირზინიო (ორივე ბრაზილია), ლეო მესი (არგენტინა), არიენ რობენი (ნიდერლანდები);

**ცენტრალური თავდამსხმელები**: დენის ბერგკამპი, იოჰან კრუიფი, მარკო ვან ბასტენი (ყველა ნიდერლანდები), კენი დალგლიში (შოტლანდია), ეუსებიო (პორტუგალია), შანდორ კოშიჩი (უნგრეთი), გერდ მიულერი (გერმანია), რომარიო, რონალდო (ორივე ბრაზილია), ჟორჟ ვეა (ლიბერია).

# შედეგები

**19 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

ვესტ ბრომვიჩი-ბარნლი .................. 0:0

ლიდსი-ვულვზი .................................. 0:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ევერტონი | 5 | 4 | 1 | 0 | 14-7 | 13 |
| 2.ასტონ ვილა | 4 | 4 | 0 | 0 | 12-2 | 12 |
| 3.ლივერპული | 5 | 3 | 1 | 1 | 13-13 | 10 |
| 4.ლესტერი | 5 | 3 | 0 | 2 | 12-8 | 9 |
| 5.არსენალი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-6 | 9 |
| 6.ვულვზი | 5 | 3 | 0 | 2 | 5-7 | 9 |
| 7.ტოტენჰემი | 5 | 2 | 2 | 1 | 15-8 | 8 |
| 8.ჩელსი | 5 | 2 | 2 | 1 | 13-9 | 8 |
| 9.ვესტ ჰემი | 5 | 2 | 1 | 2 | 11-7 | 7 |
| 10.ლიდსი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-9 | 7 |
| 11.სიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-7 | 7 |
| 12.საუთჰემპტონი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-9 | 7 |
| 12.ნიუკასლი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-9 | 7 |
| 13.კრ.პალასი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| 14.მანჩესტერი | 4 | 2 | 0 | 2 | 9-12 | 6 |
| 16.ბრაიტონი | 5 | 1 | 1 | 3 | 9-11 | 4 |
| 17.ვესტ ბრომვიჩი | 5 | 0 | 2 | 3 | 5-13 | 2 |
| 18.ბარნლი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |
| 19.შეფილდი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-7 | 1 |
| 20.ფულემი | 5 | 0 | 1 | 4 | 4-12 | 1 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ზ.პაული-ნიურნბერგი .................... 2:2

### იტალია. სერია ა

ვერონა-ჯენოა .................................. 0:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-1 | 12 |
| 2.სასუოლო | 4 | 3 | 1 | 0 | 13-6 | 10 |
| 3.ატალანტა | 4 | 3 | 0 | 1 | 14-9 | 9 |
| 4.ნაპოლი | 4 | 3 | 0 | 1 | 12-4 | 8 |
| 5.იუვენტუსი | 4 | 2 | 2 | 0 | 9-3 | 8 |
| 6.ინტერი | 4 | 2 | 1 | 1 | 11-8 | 7 |
| 7.ვერონა | 4 | 2 | 1 | 1 | 4-1 | 7 |
| 8.რომა | 4 | 2 | 1 | 1 | 8-7 | 7 |
| 9.სამპდორია | 4 | 2 | 0 | 2 | 7-7 | 6 |
| 10.ბენევენტო | 4 | 2 | 0 | 2 | 8-12 | 6 |
| 11.ფიორენტინა | 4 | 1 | 1 | 2 | 7-8 | 4 |
| 12.ჯენოა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-7 | 4 |
| 13.კალიარი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-10 | 4 |
| 14.სპეცია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-9 | 4 |
| 15.ლაციო | 4 | 1 | 1 | 2 | 4-8 | 4 |
| 16.ბოლონია | 4 | 1 | 0 | 3 | 7-8 | 3 |
| 17.უდინეზე | 4 | 1 | 0 | 3 | 3-6 | 3 |
| 18.პარმა | 4 | 1 | 0 | 3 | 4-9 | 3 |
| 19.კროტონე | 4 | 0 | 1 | 3 | 3-11 | 1 |
| 20.ტორინო | 3 | 0 | 0 | 3 | 4-8 | 0 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

გენგამი-ოსერი ................................ 2:0

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ბოავიშტა-გიმარაეში ...................... 0:1

### საბერძნეთი. სუპერლიგა

ლამია-პანეთოლიკოსი ...................... 0:0

### თურქეთი. სუპერლიგა

გალათასარაი-ალანია ...................... 1:2

გენჩლერი-დენიზლი ....................... 1:2

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

პოდბესკიჟიე-ვარტა ....................... 1:2

ლეხია-პოგონი ................................. 0:1

### დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-რანდერსი ............ 1:0

### შვედეთი. ალსვენსკა

ჰელსინბორგი-ჰაკენი ...................... 0:0

დიურგარდენი-მალმიო .................. 3:2

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# საქართველო-რუსეთი ისევ გადაიდო



როგორც ჩანს, საქართველო-რუსეთის სარაგბო დაპირისპირებას წელს გამართვა არ უწერია. ევროპული რაგბის მამების გადაწყვეტილებით, ამ გუნდებს შორის დაგეგმილი რაგბი ევროპის ჩემპიონატის 2020 წლის ბოლო ტურის დაპირისპირება საქართველოსა და რუსეთს შორის, რომელიც ჯერ კიდევ 14 მარტს იყო დაგეგმილი, მაგრამ ცნობილი მიზეზების გამო 1 ნოემბრისთვის გადაიდო, გაურკვეველი ვადით გადაიდო. ქართულ-რუსული ჯახი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უნდა გამართულიყო.

მეტიც, ევროპის რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით, პანდემიით გამოწვეული პრობლემების გამო, 2020 წელს დაგეგმილი ყველა სანაკრებო მატჩი გადადებულია.

ამ შეხვედრების გამართვის თარიღს მომავალში ევროპის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა სამედიცინო ორგანიზაციებთან კონსულტაციისა და ეპიდვითარების გათვალისწინებით დაასახელებს.

# მამაკაცმა ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ გაურბოდა გამოდევნებულ პუმას

სავარჯიშოდ გამოსული ამერიკის იუტას შტატის მკვიდრი გზაზე აგრესიულ პუმას გადააწყდა. მან ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ გაურბოდა მტაცებელს და თან იგინებოდა. აღნიშნული ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

26 წლის კაილ ბარჯესი 16–კილომეტრიან გარბენს ქალაქ პროვოს მახლობლად სლეიტ-კანიონის პარკში ახორციელებდა. გარბენის ბოლოს მან გზაზე რამდენიმე პატარა ცხოველი შენიშნა და იფიქრა, რომ ისინი ფოცხვერის კნუტები იყვნენ. ის მათ მიუახლოვდა და ტელეფონით გადაღება დაიწყო. რამდენიმე წამში გზაზე გააფთრებული პუმა გამოვარდა. ბარჯესი მიხვდა, რომ ისინი მისი ბოკვერები იყვნენ და ის მათ დაცვას აპირებდა.

მამაკაცმა ნელ-ნელა უკუსვლით უკანდახევა დაიწყო, ისე, რომ ტელეფონის კამერა არ გამოურთავია. ის სასოწარკვეთილი ხმით იგინებოდა, პუმას თავის პატარებთან დაბრუნებას ევედრებოდა და მის შესაშინებლად ღრენას ცდილობდა. ცხოველი მისკენ სვლას აგრძელებდა. ის იღრინებოდა და ყველანაირად აჩვენებდა, რომ მზად იყო, თავს დასხმოდა. ეს დაპირისპირე-



ბა დაახლოებით ექვს წუთს გაგრძელდა. ბოლოს ბარჯესმა ქვა აიღო და ცხოველს ესროლა. პუმა გაიქცა.

ამის შემდეგ ამერიკელს მაინც იმავე ადგილზე დაბრუნება უწევდა, სხვა შემთხვევაში დამატებით 11 კილომეტრის გავლა მოუხდებოდა. მან ნახევარი საათი დაიცადა, შემდეგ ჯოხითა და ქვით შეიარაღდა და პუმასთან შეხვედრის ადგილისკენ გაემართა, გზად ის სხვა მოსეირნეებს შეხვდა და ჰკითხა, პუმას ხომ არ გადასწყდომიან, რაც მათ სიცილად არ ეყოთ და მხოლოდ მას შემდეგ დაუჯერეს, როცა ვიდეო ნახეს.

ამ ინციდენტის შედეგად ამერიკელი არ დაშავებულა, თუმცა ის მარტო სირბილს აღარ აპირებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 2. ღვინის მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 3. ნახატი ზღვის ხედით; 4. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 5. კართაგენელი მხედართმთავარი; 8. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 12. ამერიკელი კოვბოების ცხოველთა დასაჭერი სასროლი ქამანდა; 13. ენის ბგერითი შედგენილობის შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 14. დოსტოევსკის რომანი; 16. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 18. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 20. ბებერი თხა.

**თარაზულად:** 6. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 7. ბალერინას ძირითადი კლასიკური პოზა; 8. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 9. ქალაქის თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 10 უბანი თბილისში; 11. ყველაზე მსუბუქი ქიმიური ელემენტი; 15. ამერიკელი ილუზიონისტი; 17. მეცნიერების, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; 19. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 21. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში; 22. ლიმონათის, ხილის წვენების გაჯერება ნახშირმჟავა აირით; 23. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფაკირი; 2. არგო; 3. ალარმისტი; 4. ურანი; 5. ლაუდერი; 8. უშგული; 9. ზინგშპილი; 12. იუმორი; 14. კურტუა; 16. ოკაცე.

**თარაზულად:** 1. ფუმიგაცია; 6. ალეგორია; 7. კონუნგი; 9. ზღარბი; 10. ბიზე; 11. პულმანი; 13. ტოკაი; 15. სულიკო; 17. ჯიბგირი; 18. ხორავა; 19. ყურუში; 20. ჰელიოსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ოპიზარი; 2. ლიმუზინი; 3. ლიკუდი; 4. ჭინკა; 5. მალვაზია; 8. ხაჭაპური; 12. რახი; 13. გუჯაბიძე; 14. ალპები; 16. პეტარდა; 18. მესხი; 20. ბოსი.

**თარაზულად:** 6. აპატრიდი; 7. გლიპტიკა; 8. ხორუმი; 9. გაყრა; 10. მიცუბიში; 11. ვიბრაცია; 15. მუჯურეთული; 17. ჭილაძე; 19. ბომბონიერა; 21. გიენოსი; 22. ტერარიუმი; 23. ჯინჯილა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


21 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2117

ევრო — 3.7763

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1678

100 რუსული რუბლი — 4.1332

## ამინდის პროგნოზი 21 ოქტომბრისათვის








## 20 ოქტომბრიდან

## ანბანი ლექსებით

33 ქართული საბავშვო ლექსი,
260-ზე მეტი სიტყვა
და ილუსტრაცია სტიკერებით,
გასაფერადებლებითა
და ქართული ასოების
საწერი ბადეებით

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი


## კილიან მბაპე ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს



კილიან მბაპე პსჟ-სთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს, რადგან მას ჯერ თავისი მომავლის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

პსჟ-სთან კონტრაქტი მბაპეს 2022 წელს უმთავრდება და პარიზული გუნდი მას ახალ 5-წლიან ხელშეკრულებას სთავაზობს.

კილიანს რამდენიმე ვარიანტი აქვს და მის სახელს ხშირად მადრიდის რეალს უკავშირებენ. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ მბაპეს შეძენა ზიდანს ძალიან უნდა. რეალი მზად არის, მბაპეს ტრანსფერში 100 მილიონი გადაიხადოს.

## ალისონმა ტრავმა მოიშუშა

ლივერპულის მეკარე ალისონმა ტრავმა მოიშუშა და შემდეგ შეხვედრაში ის, შესაძლოა, უკვე მოედანზე ვიხილოთ. ალისონმა ტრავმა 1 თვის წინ მიიღო და ვარაუდობდნენ, რომ ის დაახლოებით 2 თვეს გამოტოვებდა, მაგრამ ასე არ მოხდა და ალისონი დროზე ადრე დაუბრუნდება ლივერპულს.

ლივერპულისთვის ეს კარგი ამბავია, განსაკუთრებით თუ ვირჯილ ვან დეიკის ტრავმას გავითვალისწინებთ, რომელიც მერსისაიდელებს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არ ეყოლებათ.

## გრიზმანმა მხოლოდ 19 შეხვედრაში ითამაშა 90 წუთი



ესპანურმა გაზეთმა მარკამ საკმაოდ საინტერესო სტატისტიკა გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ანტუან გრიზმანმა ბარსელონის ძირითად შემადგენლობაში 46 შეხვედრა დაიწყო, მაგრამ მატჩის ბოლომდე მხოლოდ 19-ჯერ ითამაშა.

ეს სტატისტიკა იმის მაჩვენებელია, რომ გრიზმანი მწვრთნელების ნდობას არ იმსახურებს და ხშირად ვერ ამართლებს იმედებს. გრიზმანს უკვე ძალიან ხშირად აკრიტიკებენ და, შესაძლოა, მალე მან სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლოს.

## ალეგრი, შესაძლოა, ჩელსის მწვრთნელი გახდეს

მასიმილიანო ალეგრი, დიდი ალბათობით, სამწვრთნელო კარიერას ინგლისურ კლუბში გააგრძელებს და ეს გუნდი, შესაძლოა, ლონდონის ჩელსი აღმოჩნდეს.

ჩელსიმ სეზონი არცთუ დამაჯერებლად დაიწყო და უკვე აქტიურად საუბრობენ ფრენკ ლამპარდის წასვლაზე, თუმცა თვითონ ლამპარდი ამ ყველაფერს უარყოფს.

ჩელსის გარდა, ალეგრის მანჩესტერ იუნაიტედსაც უკავშირებენ, სადაც ანალოგიური სიტუაციაა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 21 ოქტომბრისათვის



**ვერძი** — ცდუნების ალბათობა იზრდება. თავი შეიკავეთ საქმის გარჩევებისაგან. კრიტიკული დღეა. **კურო** — თქვენი ენერგიულობა გადამდებია. ასე განაგრძეთ, ოღონდ ეცადეთ, ზედმეტად არ დაიტვირთოთ. **ტყუპები** — მიენდეთ ინტუიციას. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეთ. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **კირჩხიბი** — იღბლიანი დღეა. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც შეგიძლიათ. საღამოს დაისვენეთ და პირად ცხოვრებას მიხედეთ. **ლომი** — ფინანსური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. მთავარია მოთმინება. **ქალწული** — გარშემომყოფებს სიყვარულით მოეპყარით. საპასუხოდ სიყვარულსა და თანადგომას მიიღებთ. **სასწორი** — კომერციული საქმიანობისგან თავი შეიკავეთ. დღეს არ ღირს ახალი საქმის დაწყება. **ღრიანკალი** — კეთილისმყოფელი დღეა. დაკავდით სპორტით, მიიღეთ ახალი ინფორმაცია, გაიფართოვეთ თვალსაწიერი. **მშვილდოსანი** — სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. ახალგაცნობილი ადამიანები საკმაოდ საინტერესო იდეებს გთავაზობენ. **თხის რქა** — წინააღმდეგობრივი დღეა. საკუთარი პოზიციების დაცვა აუცილებელია. ნუ მოეშვებით. **მერწყული** — ფინანსური კრიზისი არ გემუქრებათ. თქვენი შემოსავალი მნიშვნელოვნად იზრდება. გელით სხვა სასიამოვნო სიახლეებიც. **თევზები** — თუ ახალი საქმის დაწყება გადაწყვიტეთ, არ გარისკოთ. უმჯობესია, ძველი საქმეები დაამთავროთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— ჩემს შვილს როგორ აღარ ვკვებავ: თხილი, ნიგოზი, შოკოლადი, თაფლი — არაფერს ვიშურებ მისთვის, მაგრამ მაინც დებილად იზრდება.

— ჰოო! გენებს ვერაფერს მოუხერხებ.

●●●

ქორწილის შემდეგ ცოლი ქმარს ეუბნება:

— იცი, ძვირფასო, უარს ვერ ვიტყვი ჩემი ქალიშვილობის დროინდელ ჩვევებზე.

— არცაა საჭირო! მამაშენისთვის ფულის გამორთმევა გააგრძელე.

●●●

ქმარი ცოლს:

— ვაა, რა ლამაზი ნიღაბია!

— ხელი არ ახლო, ახალი წლისთვისაა.

●●●

კლიენტი ბარმენს ეუბნება:

— კონიაკი დამისხი!

— რომელი?

— აი ის, ხუთვარსკვლავიანი.

ბარმენმა დაუსხა. კლიენტმა დალია და მკვდარივით დაეცა.

— ესეც მეექვსე ვარსკვლავი, — ჩაილაპარაკა ბარმენმა.

●●●

ავტობუსში ქალი მის წინ მდგომ მამაკაცს ეკითხება:

— შემდეგ გაჩერებაზე ჩადიხართ?

— ეგ შენი საქმე არაა!

— მე უნდა ჩავიდე...

— ეგ ჩემი საქმე არაა!

●●●

სექსუალურად ჩაცმული ქალი მამაკაცს ეკითხება:

— უკაცრავად და რა იგრძენით, მე რომ დამინახეთ?

— გითხრა თუ დაგანახო?!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ზღვაზე მინდა წასვლა.

— რატომ?

— ვგრძნობ, როგორ ღელავს უჩემოდ...

●●●

ცოლი და ქმარი პარკში სეირნობენ. კარუსელთან მივლენ და ქმარი ეუბნება:

— კარუსელზე არ დაჯდე, თორემ ტრუსიკი გამოგიჩნდება! მე წავალ, ნაყინს ვიყიდი.

ქმარი წავიდა, ნაყინი იყიდა და უკან დაბრუნებული ხედავს, რომ ცოლი კარუსელზე ზის. ქმარი ცოლს უყვირის:

— რატომ დაჯექი, ხომ გითხარი, რომ ტრუსიკი გამოგიჩნდება!

— მაგაზე არ ინერვიულო, ტრუსიკი გავიხადე!!!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ლიზა ბათიაშვილი: „სიმართლე უნდა ითქვას“



მსოფლიოში აღიარებული მევიოლინე ლიზა ბათიაშვილი სოციალურ ქსელში აცხადებს, რომ სიმართლის დრო დადგა და ქვეყნის მომავალს ხელი ყველამ ერთად უნდა შევუწყოთ:

— დიდი ბოდიში ყველა იმასთან, ვისაც ეგონა, რომ ოლიგარქის პერსონალური სტიპენდიატი გახდებოდა... ფაქტი სახეზეა, საქართველოს განვითარებისთვის მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო და შეუძლია საქმის გაკეთება და ახლა ბოლო შანსი გაქვთ, რომ ქვეყნის მომავალს ხელი შეუწყოთ. სულ არ ვაპირებდი პოლიტიკურ პოსტს, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას.

## ავთო აბესლამიძემ კორონავირუსი დაამარცხა



„იქს ფაქტორის“ გამარჯვებულმა მომღერალმა ავთო აბესლამიძეს კორონავირუსი დაამარცხა.

ბათუმელ მომღერალს მსოფლიოში გავრცელებული ვირუსი რამდენიმე დღის წინ დაუდგინეს. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა:

— კოვიდი დავამარცხე. მადლობა უფალს და მადლობა თქვენ თანადგომისთვის, — ეს განცხადება გააკეთა მომღერალმა სოციალურ ქსელში.

## ნოდიკო ტატიშვილი კორონავირუსს ებრძვის



მომღერალი ნოდიკო ტატიშვილი კორონავირუსს ებრძვის. ხელოვანი თავდაპირველად მკურნალობის კურსს სახლში გადიოდა, თუმცა მოგვიანებით მისი საავადმყოფოში გადაყვანა გახდა საჭირო.

ნოდიკო ტატიშვილი:

— დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს ყურადღებისთვის! თქვენი გულწრფელი კეთილი სურვილები ძალას მმატებს! ბედნიერები იყავით და ჯანმრთელები მთელი ცხოვრება!

ახლა კარგად მომისმინეთ, მაქსიმალურად გაუფრთხილდით თავს! დაიცავით ყველა რეკომენდაცია ვირუსის პრევენციისთვის! წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი სტრესი ხომ ისაა, რომ ვინმეს შეიძლება დაუდასტურდეს კოვიდ 19 და მეორე სტრესი კიდევ ის, რომ ჯანდაცვის სფეროში არასახარბიელო მდგომარეობაა! დეტალურად, ცოტა უკეთ რომ ვიქნები, მერე მოვყვები ამ ყველაფერს. საკუთარი გამოცდილებიდან ვსაუბრობ!

ამიტომ, გაუფრთხილდით თავს, დარჩით სახლში, თუ აუცილებელი არაა გარეთ გასვლა და გაითვალისწინეთ ყველა რეკომენდაცია!

## საბა საფარელი: „ვრჩები ისევ უმუშევარი გაურკვეველი ვადით“



ქუჩის მომღერალი საბა საფარელი აცხადებს, რომ გაურკვეველი ვადით ისევ უმუშევარი რჩება:

— რა თქმა უნდა, ველარ ვუკრავ. ვის უნდა დღეს ეს?! ვრჩები ისევ უმუშევარი გაურკვეველი ვადით. რით გადავიხდი ბინის ქირას ან როგორ გავაგრძელებ ცხოვრებას, იცის მხოლოდ ღმერთმა. მე სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლე. მხოლოდ ამის გააზრება მაცოცხლებს.

დავუკარი მარჯანიშვილზე და ვარკეთილში. თავი უცხოპლანეტელად, ზედმეტად ვიგრძენი. ხელოვანი ადამიანისთვის ეს მომაკვდინებელია. მე სიყვარული მჭირდება, ღიმილი და სითბო. მჭირდება მატერიალურიც, მაგრამ — ნაკლებად. დაცლილი ქალაქი, ამდენი გარდაცვლილი, ათასზე მეტი ახალი შემთხვევა, უმართავი სიტუაცია, ბურუსით მოცული მომავალი ადამიანებს არ უტოვებს ძალას იმისას, რომ გაგიღიმონ.

## ბარბარა სამხარაძე ბრიტანულ „ნიჭიერში“ მიიღებს მონაწილეობას



მომღერალი ბარბარა სამხარაძე „ნიჭიერში“ გამარჯვების შემდეგ ბრიტანულ „ნიჭიერში“ მიიღებს მონაწილეობას.

ბარბარამ შესარჩევი ეტაპი უკვე გადალახა და ბრიტანეთიდან ამის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტიც მიიღო. მომღერალმა თავისი წარმატების შესახებ სოციალურ ქსელში გაავრცელა ინფორმაცია და ათასობით გულშემატკივარი ძალიან გაახარა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. უძველესი ქართული დამწერლობა; 2. გერმანელი მიკრობიოლოგი, ეპიდემიოლოგიისა და ბაქტერიოლოგიის ფუძემდებელი; 3. ესპანეთის ლიგაში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 4. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 5. ბოსნიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 8. ფრანგი მოქანდაკე; 9. ლიტერატურული კრებული, სადაც დაბეჭდილია სხვადასხვა ავტორთა რჩეული ნაწარმოებები; 12. უდაბნოდან მორბენალი მშრალი, ცხელი ქარი; 14. მთის ბროლი, კვარცის ნაირსახეობა; 16. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა.

**თარაზულად:** 1. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 6. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. ქალაქი, კანტონი, ტბა შვეიცარიაში; 9. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 10. ხელოვნების მუზეუმი ლოს-ანჟელესში; 11. კუთხე საქართველოში; 13. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულება; 15. ქართველი მგოსანი; 17. მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 18. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 19. ტაივანის დედაქალაქი; 20. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

